გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
შაბათი, 11 ივნისი, 2005 წელი.
№137 (5170)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

**გვეხმაურებიან**

## ნუ ეძებთ შავ კატას ბნელ ოთახში, ბატონებო!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 9 ივნისის ნომერში, პირველ გვერდზე დაიბეჭდა რეპლიკა „უნებლიე შეცდომა თუ შორსგამიზნული ოპუსი?“, რომელიც მთლიანად გაუგებრობასა და ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციაზეა აგებული. პატივცემული გ. ლეთოდიანი აპროტესტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პროექტს, რომელიც ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის დახმარებით ხორციელდება. პროექტის სახელწოდებაა „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მხარდაჭერა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში“.**

**რეპლიკის ავტორი აღუშფოთებია პროექტის სახელწოდებაში ქართულის „მეორე ენად“ ხსენებას; მისი სიტყვებით: „...როდიდან გახდა, ბატონებო, სამცხე-ჯავახეთში, საქართველოს ძირძველ მიწაზე, ქართული ცივილიზაციის აკვანში, ქართული ენა „მეორე ენა“?!“...**

პათეტიკა და რიტორიკული კითხვების დასმა ყოველთვის როდის ნიშნავს მამულიშვილობას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჯავახეთში მოსახლეთა უმრავლესობა სომხურენოვანია - მათი მშობლიური (ანუ პირველი) ენა სომხურია. სამწუხაროა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აქ კომპაქტურად მცხოვრები სომხები ვერ ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას - ქართულს (რომელიც მათთვის არამშობლიური, ანუ მეორე ენაა!). ნუთუ რეპლიკის ავტორი ფიქრობს, რომ ამგვარი პათეტიკით ქართული ენა სომხისთვის თუ აზერბაიჯანელისთვის მშობლიური გახდება? ეს არის ჩვენი მიზანი? რატომ ვეძებთ შავ კატას ბნელ ოთახში? ეს ხომ პრობლემისადმი ზერელე და არაკომპეტენტური მიდგომაა! „ცისფერი მთების“ სათაურისა არ იყოს, იქნებ დაინტერესებულიყო რეპლიკის ავტორი იმ **საქმით**, რასაც პროექტის ფარგლებში ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო?

იხ. მე-2 გვ.

**პასუხის პასუხი**

## ვინ „ჩააბნელა“ ოთახი?

**კიდევ კარგი, ბატონი კახა ჩვენი გაზეთის გუშინწინდელი რეპლიკის გამო თავისი გამოხმაურების შესავალშივე აღნიშნავს იმ მიზეზს, რომელმაც თურმე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთლიანად გაუგებრობასა და ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციაზე აგებული“ პუბლიკაცია მოგვამზადებინა, თორემ ცოდვა იყო მკითხველი: ჯერ ჩვენი პუბლიკაცია უნდა მოეძებნა, მერე მისი შინაარსი ბატონ კახას დებულებებთან შეეჯერებინა და ისე გაეკეთებინა დასკვნა.**

**ახლა კი ყველაფერი ნათელი და იოლია!**

რაო, პატივცემულო მკითხველო, თქვენი აზრით, უსამართლოდ აღშფოთებულა ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული რეპლიკის ავტორი, სამტრედიელი გურამ ლეთოდიანი იმით, რომ პროექტს ჰქვია **„ქართულის, როგორც მეორე ენის** სწავლების მხარდაჭერა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში?“

განა ტყუის ბატონი გურამი, როდესაც აღშფოთებული კითხულობს, **„... როდიდან გახდა, ბატონებო, სამცხე-ჯავახეთში, საქართველოს ძირძველ მიწაზე, ქართული ცივლიზაციის აკვანში, ქართული ენა „მეორე ენა?“**

იხ. მე-2 გვ.

**„თუ თვითმმართველობის გაძლიერების გზას ვირჩევთ, ასეთი არასწორი ნაბიჯები არ უნდა გადავდგათ. თუ არადა, უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ტიპის ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ვყალიბდებით“.**

**რატომ, რის საფუძველზე ამტკიცებს ამას საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელი?**

იხ. მე-2 გვ.

**„ჯერ ხომ ახალგაზრდებს რაგვარ სიმღერებს ვასმენინებთ, რაგვარ ფილმებსა და სიახლეებს ვთავაზობთ ჩვენი ბედოვლათი ტელევიზიების გადამკიდენი და, ახლა საბავშვო ბაღებშიც შევიჭერით თითისტოლა ბალღებთან“...**

**...„საბავშვო ბაღში „უბერავდნენ“, აღმზრდელი „აბერვინებდა“ აღსაზრდელებს. აბა, „ვარდს გაეფურჩქნა კოკორიო“, — ხომ არ ამღერებდა?“**

**რას ამბობდა პლატონი მათთვის, ვინც დღეს ასე უბერავს...**

იხ. მე-6 გვ.

**კანონმდებლები**



## ჩვენ ორნი ვართ...

ანუ ვისია, ვისია... ცარიელი სკამები სხდომათა დარბაზში?

**ორად** ორი მეგობარი; ჩვენ ორნი ვართ პარლამენტში; ამაყი სიმ(ორ)არტოვე... და კიდევ მრავალი სხვა წარწერა მოუხდებოდა ამ ფოტოს, რომელზეც ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეებია აღბეჭდილი.

იგი, სხვათა შორის, შესვენებისას გადაღებული არ გეგონოთ: პარლამენტის სხდომათა დარბაზის ამ ფლანგზე ეულად დარჩენილი ეს ორი დეპუტატი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა, როგორც იტყვიან, „გაგანია“ პლენარული სხდომის დროს „ჩააკარტიჩკა“.

საინტერესოა, სხვები სად იყვნენ უკვორუმობას შეჩვეული ამ პარლამენტის სხდომის დროს? იქნებ გულმა არ მოუთმინათ და იმ აუზსა თუ კორტებს ეწვივნენ, გასულ შაბათ-კვირა-ორშაბათს გუდაურში ყოფნისას (სწორედ მაშინ, მცხეთა-მთიანეთი ლამის მთლიანად რომ მიჰქონდა წარღვნას!) რომ გაუტკბათ და ახლაც მოესურვილათ?

სამუშაო? — არა უშავს, იგი ხომ, მართლაც, მგელი არ არის, ტყეში გაიქცეს!...

**აბო შელია.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.

**ინფორმაცია**

### ბელორუსი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს აწესებს

„ასეთი გადაწყვეტილება განპირობებულია ორგანიზებული და ტრანსნაციონალური დანაშაულების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის გაგრძელების აუცილებლობით. მკვეთრად გაიზარდა ქართველი კრიმინალების მიერ ბელორუსის ტერიტორიის გამოყენება რუსეთში უვიზოდ შეღწევისათვის“, — ნათქვამია ბელორუსის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებაში.

### ნინო ბურჯანაძე: ბელორუსის ხელისუფლება აგონიაშია

საქართველოსთან სავიზო რეჟიმის დაწესების შესახებ ბელორუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს გადაწყვეტილებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ბელორუსის დღევანდელი ხელისუფლების აგონიად მიიჩნევს.

ქალბატონი ნინო იმედს გამოთქვამს, რომ მალე ბელორუსის სახელმწიფო ახალ დემოკრატიულ ფასეულობებზე აიგება და საქართველოს ბელორუს ხალხთან და ქვეყნის დემოკრატიულ ხელისუფლებასთან კარგი და კეთილი ურთიერთობები ექნება.

### საქართველოში შემოსვლა აეკრძალება

საქართველოსთან სავიზო რეჟიმის დაწესების შესახებ ბელორუსის ხელისუფლების გადაწყვეტილების საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტი აპირებს, მიიღოს სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმადაც, ბელორუსის პრეზიდენტს ალექსანდრ ლუკაშენკოს საქართველოში შემოსვლა აეკრძალება.

აკრძალვა არ შეეხება ბელორუსის მოქალაქეებს და ისინი საქართველოში უვიზოდ შემოვლენ.

### დიქტატორისგან სხვას რას ველოდით?

ბელორუსის პრეზიდენტის ამ ინიციატივის კომენტირებისას საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა განაცხადა, რომ დიქტატორული რეჟიმის ქვეყანას არა სურს ურთიერთობა ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც მსოფლიომ დემოკრატიის მაგალითად აღიარა.

### ეკონომიკაზე გავლენას ვერ მოახდენს

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ ბელორუსის პრეზიდენტის გადაწყვეტილება, ქართულ ეკონომიკას პრობლემებს ვერ შეუქმნის.

მისივე თქმით, ლუკაშენკოს გადაწყვეტილებით პრობლემა იქმნება მხოლოდ იმ ქართველი ბიზნესმენებისთვის, რომლებიც ბელორუსში საქმიანობენ.

მედია-ნიუსი.

**„... განა დღეს ადამიანის უფლება დაცულია, ან პრესა დამოუკიდებელია? გამოდის, რომ მხოლოდ სავარდო დემოკრატია გვქონია, რომ ეს არის ანტიამერიკული ხელისუფლება. დასავლეთისთვის დეკლარირება, მე პროამერიკელი ვარო, არ ნიშნავს, რომ მართლაც პროამერიკელი, ან პროქართველი ხარ. პროამერიკელობა ან პროქართველობა ქცევით უნდა გამოიხატოს. მათი ქცევა თავისი შინაარსით ანტიქართული, ანტიამერიკულია. სხვა არაფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ ანტიქართველები და ანტიამერიკელები ვუწოდო მათ. პოტიომკინის დროის მშენებლები ჩვენთვის მიუღებელნი არიან, ჩვენთვის მისაღები არიან ნამდვილი ქართული, ძარღვიანი სოფლის მშენებლები...“**

**რატომ, რის საფუძველზე ამბობს ამას და რას გვთავაზობს გია მაისაშვილი?**

მე-3 გვ.

**რუსული პრესის თვალით**

## VIP-პერსონა




**ცნობილი ამერიკელი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი საქართველოში ჩავიდა იმისთვის, რომ, როგორც თვითონ თქვა, თავისი თვალით ენახა „ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება“. იმ შეხვედრით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც სოროსს მოუწყვეს, დემოკრატიასთან დაკავშირებით ქვეყანაში ყველაფერი რიგზეა. ხალხი არა მარტო გამოხატავს დემოკრატიას, არამედ მიზანშიც კარგად ისვრის მას. ეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, იგრძნო საკუთარ ტყავზე სტუმარმა, რომლის ამალასაც თბილისში კვერცხების სეტყვა დაუშინეს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართველებმა, რუსებისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ მთლად კარგად ვერ აითვისეს ტყორცნის ტექნიკა — დემოკრატიის იარაღმა მხოლოდ მსუბუქად დააზარალა სოროსის ერთ-ერთი პირადი მცველი. საპატიო სტუმარმა კი შეძლო თავისი სახის შენარჩუნება.**

**საქართველოდან გავრცელებული ხმებით თუ ვიმსჯელებთ, ქვეყნის ყველა მეფრინველეობის ფაბრიკა სრული დატვირთვით მუშაობს — იქ ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა დელეგაციები, რომლებსაც სურთ საკუთარი თვალით იხილონ დემოკრატიული გარდაქმნების შედეგები...**

**„... ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ ყოვლად გაუმართებელ, ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილ, პარლამენტის მხრიდან წაყრუებულ ტენდენციაზე, როდესაც მნიშვნელოვანი არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი და სამშენებლო პრობლემები წყდება პროფესიონალების გვერდის ავლით, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი, ჯერ კიდევ შემორჩენილი სახელმწიფო ინსტანციების იგნორირებით, მათი უფლებამოსილების უზურპირების გზით, დირექტიული გზით...**

**ჯერ კიდევ არსებობს შანსი იმისა, რომ 62 მილიონი დოლარი წყალში არ გადავყაროთ და საქართველომ მიიღოს არა მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი მიმღებ-გამშვები ნაგებობა. არამედ საინტერესო არქიტექტურული ნაწარმოები, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს ერის კულტურაში. უმთავრეს ამოცანად მიგვაჩნია არსებულისა და ახლის ერთ მხატვრულ და ფუნქციურ ორგანიზმად გააზრება...“**

**რატომ, რასთან დაკავშირებით წერს ამას და შექმნილი სიტუაციიდან რა გამოსავალს გვთავაზობს 19 სპეციალისტი?**

იხ. მე-4 გვ.

**გამოცდები**

## წინასწარ არავინ არაფერი იცის

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ამცნო, რომ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები ორ ეტაპად ჩატარდება. მისი თქმით, მთლიანად იცვლება სასამართლო სისტემა და ახალი კადრების მოსაზიდად აუცილებელია გამოცდა, ურომლისოდაც ადამიანი მოსამართლედ ვერ დაინიშნება.**

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლა ისურვა 1154-მა კაცმა, აქედან საერთო გამოცდას 203 ჩააბარებს, სისხლის სამართლის სპეციალიზაციაზე 563 განაცხადია შესული, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაზე — 388.

პირველი ეტაპი სამ დღეს გაგრძელდება. საერთო გამოცდა 11 ივნისს გაიმართება საქართველოს პარლამენტში, ხოლო 12 და 13 ივნისს თსუ მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში გამოსაცდელებს უმასპინძლებს.

მეორე ეტაპზე, წერით გამოცდაზე მხოლოდ ის „აბითურიენტები“ დაიშვებიან, რომელთა ტესტურ გამოცდაზე მიღებული ქულათა მაჩვენებელი 75 ქულაზე მეტი იქნება.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე მეთვალყურედ დაიშვება ნებისმიერი მსურველი, რომელიც განცხადებას წარადგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

იხ. მე-2 გვ.

**SIC! — დედაქალაქი**

## ღირსებაშელახულნი





თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი პრეზიდენტის განკარგულებებს და პარლამენტის კანონებს თვითონ ჭრის და თვითონ კერავს!

იხ. მე-3 გვ.

**ინტერპანორამა**

**ბრიტანეთის დედოფალი ეწვევა ირლანდიას.** მორიგებას ამ ვიზიტის შესახებ მიაღწიეს ელისაბედ მეორისა და ირლანდიის პრეზიდენტის მერი მაკალისის შეხვედრის დროს. აღსანიშნავია, რომ დედოფალი აქამდე ოფიციალური ვიზიტით არ ყოფილა ირლანდიის რესპუბლიკაში.



**უკრაინის გენერალური პროკურორი მზად არის დახუროს ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმე.** ბრალდებები წაუყენეს მკვლელობის შემსრულებლებს და ეს საკმარისია. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს ყოფილ ხელმძღვანელს, გენერალ ალექსეი პუკაჩს ბრალდება წაუყენეს დაუსწრებლად, რადგან იგი ამჟამად იმებნება.



◎ გვეხმაურებიან

# ნუ ეძებთ შავ კატას ბნელ ოთახში, ბატონებო!

(პირველი გვერდიდან)

მკითხველის ინფორმირებისა და პროექტის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად, მოვიტანთ ამონარიდს მისი აღწერიდან:

„...**სახელმწიფო ენის** არასრულყოფილად ცოდნა მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის უმცირესობათათვის, რათა მათ სრულყოფილად განახორციელონ საკუთარი უფლებები და მოვალეობები, შესაბამისად უკიდურეს აუცილებლობად დადგა ეროვნულ უმცირესობათათვის **სახელმწიფო ენის** სწავლების საკითხი... მნიშვნელოვანი სხვაობაა **სახელმწიფო ენის** ცოდნის თვალსაზრისით ცენტრსა და რეგიონს შორის. ჯავახეთში, სადაც კომპაქტურად სახლობს სომხურენოვანი მოსახლეობა, უდიდეს პრობლემებს ქმნის **სახელმწიფო ენის** არასრულყოფილად ცოდნა. **სახელმწიფო ენის** არასრულყოფილად ფლობა ხშირად იწვევს მათს იზოლაციას...

პროექტის ზოგადი მიზანია ქართული ენის სათანადო სწავლებით ხელი შევუწყოთ ქვეყანაში ინტეგრაციულ პროცესებს უმცირესობათა მხრიდან ლინგვისტური ბარიერის გადალახვის გზით.

პროექტის კონკრეტული ამოცანებია:

ახალი სტანდარტებისა და პროგრამების, აგრეთვე ქართულის, როგორც მეორე ენის, მეთოდიკური ბროშურების დაბეჭდვა და მასწავლებელთათვის გადაცემა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან 20 ადგილობრივი ტრენერის (მულტიპლიკატორის) მომზადება, რათა გაეცნონ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

ქართული ენის, როგორც მეორე ენის, ყველა ადგილობრივი მასწავლებლის გადამზადება."

რეპლიკის ავტორს ახლა შეუძლია, თავად განსაჯოს, „ეს უნებლიე შეცდომაა" თუ „შორსგამიზნული ოპუსი"... ჩვენ კი დავძენდით: ტერმინები - „მეორე ენა", „მეორე ენის სწავლების მეთოდიკა" ჩვენი მოგონილი არ არის; მთელს მსოფლიოში ამ მეთოდიკით (რომელიც პრინციპულად განსხვავდება მშობლიური ენის სწავლების მეთოდიკისგან) ისწავლება როგორც სახელმწიფო ენები, ასევე სხვა, ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფისათვის არამშობლიური ენები...

აქვე მივმართავთ გაზეთის რედაქციასაც: ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა, სიფრთხილე გამოვიჩინოთ ისეთი სათუთი თემის საჯარო განხილვისას, როგორიცაა ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხი. ალბათ, უნდა მოვერიდოთ გაზეთის პირველ გვერდზე, ლამის „შწშ" რუბრიკით მუქარანარევი გამონათქვამების გამოფრიალებას: **„...კეთილი ინებოს ყველამ, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა უნდა, შეისწავლოს ქართული, როგორც სახელმწიფო ენა!"**

**ცნობისათვის:** საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობა ავტომატურად გახდა საქართველოს მოქალაქე, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მან ქართული ენა (სახელმწიფო ენა)...

**პატივისცემით**
**კახა გაბუნია,**
**პროექტის „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მხარდაჭერა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში" კონსულტანტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.**

◎ პასუხის პასუხი

# ვინ „ჩააბნელა" ოთახი?

(პირველი გვერდიდან)

**რა არის ამაში გაუგებარი და გასაბრაზებელი, ბატონო კახა?**

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მთლიანად თქვენი გამოხმაურება და, განსაკუთრებით, მისი ცალკეული დებულებები ძალიან წააგავს, კიდევ ერთხელ ბოდიში, მუნდირის ღირსების დაცვის მიზნით მკითხველისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობას მაინც, დემაგოგიას.

მაშ სხვა რა დავარქვათ თუნდაც თქვენს ასეთ განცხადებას: **„ნუთუ რეპლიკის ავტორი ფიქრობს, რომ ამგვარი პათეტიკით ქართული ენა სომხისთვის თუ აზერბაიჯანელისთვის მშობლიური გახდება?"**

მერე ვინ ითხოვდა ამას? არის მსგავსი რამის თუნდაც მინიშნება ჩვენს პუბლიკაციაში?

რეპლიკაში, უბრალოდ, ის არის ნათქვამი, რომ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, რომელენოვანი მოსახლეობითაც უნდა იყოს იგი დასახლებული, ქართული ენა მოიხსენიებოდეს **სახელმწიფო ენად** და არავითარ შემთხვევაში — **მეორე ენად.**

**რა არის ამაში გაუგებარი და გასაბრაზებელი, ბატონო კახა?**

ჩვენ ვეძებთ შავ კატას ბნელ ოთახში, თუ თქვენი, როგორც ამ, პირადად ჩემთვის მართლაც უკეთილშობილურესი მიზნის მქონე პროექტის კონსულტანტის, ან რომელიმე თქვენი თანამოსაქმის შემთხვევითი, კვლავ ბოდიშს ვიხდი, დაუდევრობა-უყურადღებობით „ჩამობნელდა" ოთახში?

რამ მაფიქრებინა ეს?

თქვენმა ერთმა მოწოდებამ — **„იქნებ დაინტერესებულიყო რეპლიკის ავტორი იმ საქმით, რასაც პროექტის ფარგლებში ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო?"**

და კიდევ თქვენმავე სწორმა გადაწყვეტილებამ, **მკითხველის ინფორმირებისა და პროექტის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად მოგეტანათ ამონარიდი მისი აღწერიდან.**

ჯერ მოწოდებასთან დაკავშირებით.

უღრმესი, გულწრფელი მადლობა ჩემგან და, დარწმუნებული ვარ, მთელი ქართველობისგან სამინისტროს და მის ხელმძღვანელობას, იმისათვის, რასაც ისინი ამ მართლაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებით აკეთებენ.

კარგად გვესმის ამ პროექტის მნიშვნელობაც და შრომატევადობაც.

განა ვინმემ, არა მარტო განსახილველი რეპლიკის ავტორმა, არამედ ნებისმიერმა პიროვნებამ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ოდესმე თუნდაც აუგის მაგვარი რამ თქვა ამის შესახებ?

ახლა, რაც შეეხება ამონარიდს პროექტის აღწერიდან (აქვე მკითხველს მსურს ვუთხრა, რომ შავი კურსივით გამოყოფილი სიტყვები აქაც და სხვაგანაც ბატონ კახას ეკუთვნის — **რ. რ.**).

გაგახარათ ღმერთმა, ბატონო კახა! ამ აღწერის პირველ ნაწილში ყველაფერი, როგორც იტყვიან, ხუთიანზეა.

წერია იქ, რომ ქართული არის **„მეორე ენა?"** იგი ხომ ყველგან **„სახელმწიფო ენად"** არის მოხსენიებული?

ჰოდა, არ აჯობებდა, რომ თვით ამ სავსებით სწორი აღწერის პირველი ნაწილის შესატყვისად პროექტის სათაურშიც და სხვაგანაც აშკარად მცდარი **„მეორე ენის"** ნაცვლად ნებისმიერი ქართველისთვის მისაღები და სახელმწიფოებრივადაც სწორი **„სახელმწიფო ენა"** გამოგეყენებინათ? დავიჯერო არ მოგისმენდნენ და მხარს არ დაგიჭერდნენ კომისარიატის წარმომადგენლები?

მხოლოდ ამას არ ითხოვდა ჩვენი რეპლიკის ავტორიც?

**რა არის ამაში გაუგებარი და გასაბრაზებელი, ბატონო კახა?**

აი, რა „უბრალო" მიზეზის გამო „ჩამობნელებულა" ოთახში, ბატონო კახა!

მორიგ ბოდიშს გიხდით, მაგრამ კვლავ დემაგოგიის მცდელობას წააგავს ენის სწავლების მეთოდიკის თაობაზე თქვენი საუბარიც, რადგან იგი რეპლიკაში საერთოდ არავის უხსენებია.

ვერც თქვენს უმორჩილეს თხოვნას გავითვალისწინებთ სრულად იმ მიზეზისა გამო, რომ უბრალოდ ვერ გავიგეთ, რას ნიშნავს **„ლამის „შწშ" რუბრიკით მუქარანარევი გამონათქვამების გამოფრიალება".** ჩვენს გუშინწინდელ, თქვენს მიერ დაწუნებულ მასალას რუბრიკად ჰქონდა **„რეპლიკა".**

**„შწშ"** რას ნიშნავს, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე.

იმაში კი კვლავ დარწმუნებული ვარ, რომ ყველამ, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა სურს, უნდა ისწავლოს ქართული, როგორც **სახელმწიფო ენა.**

ჩვენსას ჩვენვე თუ არ გავუფრთხილდით, სხვა, რაგინდ კეთილშობილიც უნდა იყოს, არასოდეს გაუფრთხილდება ჯეროვნად.

მადლობას მოგახსენებთ გამოხმაურების ბოლოს მოწვდილი ცნობისთვის, რომელიც, როგორც ალბათ თქვენ ჩათვალეთ, ჩვენ არ ვიცოდით.

დასასრულ მეც მოგაწვდით ერთ ცნობას, უფრო სწორად, ორს: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურიდან გუშინ მთხოვეს, რომ თქვენი მასალა იმავე ადგილას დაგვებეჭდა, რომელზეც გიორგი ლეთოდიანის რეპლიკა გამოვაქვეყნეთ. ვასრულებთ ამ თხოვნას.

რაც შეეხება მეორე ცნობას, რაკი თქვენ ჩათვალეთ, რომ შესაძლოა რედაქციაში არ ვიცოდეთ ელემენტარული რამ და „დაგვემოძღვრეთ", ხომ შეიძლება, თქვენც არ გახსოვდეთ სრულად (არ იცოდეთ-მეთქი, არ გაკადრებთ), თუ რას ნიშნავს სიტყვა დემაგოგია, რამდენიმეჯერ ბოდიშის მოხდით რომ ვიხმარე ამ პასუხში.

ამიტომაც გაცნობებთ, რომ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში (ოთხშაბათს ან ხუთშაბათს) ამაზე ვრცელი მასალა გამოქვეყნდება.

გირჩევთ, წაიკითხოთ!

**ღრმა პატივისცემით,**
**რუსლან რუსია.**

◎ თანამშრომლობა

# ეროვნული ბანკის პრეზიდენტი სიღარიბის დაძლევაზე ალაპარაკდა



**სადაც კარგი ცხოვრებაა, იქ მხნეობა და მეცადინეობაც არის. ამიტომაც ეროვნული ბანკის თავკაცი რომან გოცირიძე ღონობს, რომ როგორმე ქვეყანაში სიღარიბე აღმოიფხვრას და ხალხმა რაც შეიძლება მალე შვება იგრძნოს.**

8 ივნისს ბატონი რომან გოცირიძე ეროვნულ ბანკში შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს იერუნ კრემერს, რომლის საკურატორო სფეროში შედის 14 ქვეყანა, მათ შორის საქართველო. საუბარი შეეხო საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის სამწლიან პროგრამას, რომელიც სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 144 მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს, აქედან 21 მილიონი აშშ დოლარი უკვე ჩაირიცხა.

სწორედ დღეს და ხვალ რომან გოცირიძის კაბინეტში განიხილავენ ამ პროგრამის პარამეტრებს, 12 ივნისს კი დიდი ღონისძიებაა დაგეგმილი. სიღარიბის აღმოფხვრის პროგრამასთან დაკავშირებით კონფერენციაზე ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს გაუზიარებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორი, მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, ნიდერლანდების ჯგუფის წევრი ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენლები, კერძოდ, ამ ქვეყნების ცენტრალური ბანკებისა და ფინანსთა სამინისტროების პირველი პირები.

გვჯერა, ასეთი თანამშრომლობა ქვეყანას რეალურ შედეგს მოუტანს.

**ლალი ქინქლაძე.**

◎ კანონმდებლები

# ორი ბოთლი კონიაკი და ოთარაანთ ქვრივის ქისები

**ეს ადგილობრივი ბიუჯეტის ბაგურ კვებაზე გადაყვანა არისო, — თქვა ედვარდ სურმანიძემ, თუმცა მაინც შესაძლებლად მიიჩნია, პარლამენტმა მხარი დაუჭიროს კანონპროექტს, რომელიც მოგების გადასახადის ადგილობრივიდან ცენტრალურ ბიუჯეტში გადმოტანას ითვალისწინებს (ეს არ ეხება აჭარის ავტონომიას).**

სურმანიძის თქმით, ამგვარი გადაწყვეტილება დროებითი იქნება, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევის შემდეგ ხელისუფლება იძულებული იქნება, ისინი დააფინანსოს, ანუ მოგების გადასახადის დაბრუნებაც მოუწევს (თუნდაც იმ მიზეზით, რომ ევროპის ქარტიას არ დაუპირისპირდეს).

სახელმწიფომ უნდა იცოდეს, სად მიდის ფული, გააკონტროლოს მისი სწორად ხარჯვა. ამასთან, ცენტრი, საჭიროების მიხედვით, რაიონებზე გაანაწილებს ცენტრალურ ბიუჯეტში თავმოყრილ თანხას, რითაც ღარიბი რაიონების წინსვლასაც შეეწყობა ხელი, — ეს ის მთავარი არგუმენტებია, რომლებითაც ამართლებდა საპარლამენტო უმრავლესობა აღმასრულებელი ხელისუფლების ინიციატივას.

ამას დაამატეთ ისიც, რომ მოგების გადასახადი თავისი ბუნებით, თურმე, ერთიანი სახელმწიფოებრივი გადასახადია და ადგილობრივ ბიუჯეტში არ უნდა რჩებოდეს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე თვის წინათ, საგადასახადო კოდექსის მიღების დროს, არც ბატონ ზურაბ ნოღაიდელს და არც სხვებს გახსენებიათ ამ გადასახადის „ბუნება".

კანონპროექტმა აზრთა სხვადასხვაობა თავად საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს შორისაც გამოიწვია. მაგალითად, სხვაზე მეტად შემოსავლიანი რაიონის, ბორჯომის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნოდარ გრიგალაშვილმა მოგების გადასახადი ბოლომდე ვერ დათმო — ნაწილი მაინც უნდა დარჩეს ადგილობრივ თვითმმართველობას, მან უკეთ იცის, რა სჭირდება რაიონსო. ოთარაანთ ქვრივიც კი მიხვდა, ერთ ქისას ხუთი რომ სჯობსო, — პარალელი გაავლო ბატონმა ნოდარმა. თუმცა უპრიანად ჩათვალა, ყველა „დიდი ქისის" მოვლა-პატრონობა, ანუ ტრანსფერების განაწილება საქართველოს უმაღლეს ხელისუფალსა და მასთან არსებულ სპეციალურ კომისიას მიენდოს. რაკი აუხსნეს, ეს შეუძლებელიაო, გადაამისამართა — მაშინ ფინანსთა სამინისტროს დავავალოთო.

ნოდარ გრიგალაშვილის წინადადებაში ოპოზიციამ ასეთი საფანელი დაინახა: თუ ტრანსფერების განაწილება პრეზიდენტს დაევალება, „ნაციონალური მოძრაობისთვის" თავდადებული მაჟორიტარი დეპუტატები ბევრს მიაღწევენ, სხვები კი — ვერაფერს.

„ახალი მემარჯვენეები" და „კონსერვატორები" კანონპროექტს მხარს არ უჭერენ. მათი თქმით, ხელისუფლება ადგილობრივ თვითმმართველობებს საბოლოოდ ანგრევს.

— ერთი მხრივ, ხელისუფლება ამბობს, თვითმმართველობათა ფუნქციები და ინიციატივა უნდა გაიზარდოსო, მეორე მხრივ, ყველაფერს აკეთებს ამ ორგანოთა უფუნქციოდ დასარჩენად; ცენტრიდან სურს ყველაფრის მართვა.

პოზიციის გასამყარებლად საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა იმდენად სუსტი არგუმენტები მოიყვანეს, რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. თუ თვითმმართველობის გაძლიერების გზას ვირჩევთ, ასეთი არასწორი ნაბიჯები არ უნდა გადავდგათ. თუ არადა, ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ტიპის ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ვყალიბდებით, — ამბობს ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" მდივანი მანანა ნაჭყებია. ამასთან, ეჭვს გამოთქვამს, რომ ხელისუფლებას ამგვარი კანონის მიღება იმ 2 პროცენტის კომპენსაციისთვის სჭირდება, დიდი ტანჯვა-წამებით რომ დათმო ფინანსთა სამინისტრომ დამატებითი ღირებულების გადასახადიდან.

კონსერვატორი ბიძინა გუჯაბიძე მოგების გადასახადის ცენტრალურ ბიუჯეტში გადმოტანას კორუფციული გარიგების წყაროდ მიიჩნევს:

— რაიონის ბიუჯეტი როგორ მტკიცდება, კარგად ვიცი, ამ შემთხვევაშიც საჭირო იქნება ხვეწნა. ადგილობრივ ხელისუფლებას ფინანსთა სამინისტროსთან საქმის ჩაწყობა მოუწევს. ისიც ვიცი, როგორი მადა აქვს აქაურ ბიუროკრატიას.

**დამთავრდა ის დრო, როცა მავანნი საბჭოთა კავშირის არსებობისას ორი ბოთლი კონიაკით აწყობდნენ საქმეს ცენტრშიო, — ამას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ამბობდნენ.**

**ნამდვილად დამთავრდაო, — უდასტურებდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები ოღონდ სხვა ინტერპრეტაციით — ახლა კონიაკი საკმარისი აღარ იქნება, დიდ ფულზე იქნება ლაპარაკიო.**

**რუსუდან გახარია.**

◎ ინფორმაცია

## იქმნება ახალი კომისია



**რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განკარგულებით შეიქმნება ახალი სახელმწიფო კომისია, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების პროექტს მოამზადებს, — ნათქვამია პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებაში.**

**კომისია 21 წევრისგან იქნება შემდგარი და მას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი იგორ სავოლსკი უხელმძღვანელებს.**

## ლეიბორისტები პრეზიდენტს ადანაშაულებენ

**თბილისის საკრებულოს ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები იმ მიწის ნაკვეთების საკითხის შესწავლას ითხოვენ, რომლებიც 2002-2003 წლებში გასხვისდა.**

**მიწის ნაკვეთი იმ პერიოდში გაიყიდა, როდესაც საკრებულოს მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა, თუმცა ხელმოწერები შესაბამის დოკუმენტაციაზე წინა ვადებით გაფორმდა. მათ შორის იყო ბევრი ისეთი ტერიტორია, როგორიცაა სკვერები, ბაღები, ტროტუარები, მტკვრის სანაპიროზე არსებული ნაკვეთები და სხვა.**

**როგორც ფრაქცია „ლეიბორისტის" წევრმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, მათი ფრაქცია არა მარტო იმ 163 მიწის ნაკვეთის შესწავლას ითხოვს, არამედ ყველა იმ ტერიტორიისას, რომელიც გასულ წლებში გაიყიდა.**

**როგორც მან აღნიშნა, ამ მიზნით გასულ კვირას საკრებულოს ინტერფრაქციული კომისიაც შეიქმნა, რომელიც აღნიშნულ პრობლემას შეისწავლის.**

მედია-ნიუსი.

◎ რა კანონი მოდის?

# ინვესტორი უნდა მოვიდეს ფულის მოსაგებად და არა გასაკოტრებლად

**ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს სადღეისო სამართლებრივი რეჟიმის გასაუმჯობესებლად იუსტიციის სამინისტრომ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ერთად, შეიმუშავა საქართველოს კანონის პროექტი „გაკოტრებისა და რეაბილიტაციის შესახებ", რომელიც მიზნად ისახავს ამჟამად მოქმედი კანონის ხარვეზების აღმოფხვრას და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.**

კანონპროექტის პირველი განხილვა სამინისტროში უკვე გაიმართა, რომელსაც იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკატერინე გურეშიძე, მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა გოცირიძე, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის



ექსპერტები რონ ჰარმერი, ნილ კუპერი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრაზე ითქვა: — საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით მრავალი პრობლემა გამოიკვეთა, რომელიც ხელს უშლის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების კანონის შესაბამისად და ეფექტიანად გასხვისებას, ამ საწარმოთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საპრივატიზაციო ნუსხაში არსებული საწარმოების უმრავლესობა დღესდღეობით გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმშია. იუსტიციის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ, ხშირად, პრივატიზაციის პროცესების დაბრკოლებას სწორედ გაკოტრებისა და რეაბილიტაციის რთული, მოუწესრიგებელი პროცედურები იწვევს. შეხვედრაზე განაცხადეს, რომ დღეს მოქმედი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონში არსებულ ხარვეზებს, ხშირ შემთხვევაში, ბოროტად იყენებენ მოვალე და კრედიტორებიც, რაც საბოლოოდ სახელმწიფოს მნიშვნელოვნად აზარალებს.

ეკატერინე გურეშიძის თქმით, გაკოტრების პროცესი ყველა მხარისთვის უნდა იყოს სწრაფი, ეფექტური და გამჭვირვალე, სწორედ ეს უზრუნველყოფს როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვას: — როცა ინვესტორი ფულს აბანდებს, ის არ ფიქრობს იმაზე, რომ ყველაფერი შეიძლება გაკოტრებით დასრულდეს, თუმცა ამის შიში, რა თქმა უნდა, ყოველთვის აქვს. ინვესტორმა უნდა იცოდეს, რომ გაკოტრების შემთხვევაში მისი უფლებები დაცული იქნება, პროცესი კი სწრაფად, გამჭვირვალედ წარიმართება. მან უნდა მოახერხოს თავისი რესურსების ამოღება და სხვა გზით წარმართვა. ამგვარი გარემო ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ინვესტორისთვის, ისე მთლიანად ეკონომიკისთვის — განაცხადა ეკა გურეშიძემ.

ახალი კანონი გავრცელდება იმ მოვალეებზე, რომლებიც დაფუძნებული არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირებად, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებაზე, კოოპერატივზე, ფონდებსა და კავშირებზე.

კანონპროექტზე მუშაობა 2004 წლის აგვისტოში დაიწყეს, პარლამენტს კი განსახილველად საშემოდგომო სესიაზე გადაეგზავნება.

**ლელა ხვადაგიანი.**

◎ გამოცდები

# წინასწარ არავინ არაფერი იცის

(პირველი გვერდიდან)

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თქმით, სინამდვილეს არ შეეფერება გავრცელებული ჭორი, თითქოსდა ეს გამოცდები გამჭვირვალე და კონფიდენციალური არ იქნება. „გარწმუნებთ, რომ წინასწარ არავინ არაფერი იცის, არც ის გაუგია ვინმეს, სად მზადდება კანდიდატებისთვის დასარიგებელი ტესტები და კაზუსები, გამოცდებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს ამერიკის იურისტთა ასოციაციის დაფინანსებით", — ამბობს კუბლაშვილი.

მისი თქმით, ვინაიდან ახალ სასამართლო სისტემას მეტი მოსამართლე სჭირდება, ამიტომ ცალკე კონკურსი ჩაუტარებიათ იმ ადამიანებისთვის, ვინც წინა წლებში ჩააბარა გამოცდები. ამათგან, დაახლოებით 10-12 კანდიდატურა უკვე შეურჩევიათ და მომავალ კვირაში მათს დანიშვნაზე პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას. ეს მოსამართლეები ძირითადად თბილისის საქალაქო სასამართლოში და ზოგიერთ რაიონში დაინიშნებიან.

კონსტანტინე კუბლაშვილმა პრესკონფერენციაზე ისაუბრა იუსტიციის საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებულ ერთობლივ ინიციატივებზე. ეს ცვლილებები პარლამენტს პირველი მოსმენით უკვე მიუღია.

ყველაფერი კეთდება ახალ სისტემაზე გადასასვლელად. სავარაუდოდ, 1 ნოემბრისთვის უზენაესი სასამართლო მხოლოდ საკასაციო ფუნქციით იმუშავებს. საოლქო სასამართლოებიც მხოლოდ სააპელაციო სასამართლოებად გადაიქცევა, ხოლო რაიონული სასამართლოები გამსხვილდება და სულ 15 რაიონული სასამართლო შეიქმნება.

პრესკონფერენციის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკაში გაიმართა „ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონის" წარდგინება. წიგნი, რომელიც ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) იურიდიული ლექსიკონის შექმნის პირველი მცდელობაა და საქართველოში ანალოგი არ მოეძებნება, „საქართველოს მაცნემ" გამოსცა. მისი ავტორია დავით წულაია, რომელიც ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის იურიდიული თანაშემწეა. წიგნის რედაქტორია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო ჭანტურია.

ლექსიკონი 50 ათას იურიდიულ ტერმინს, სიტყვას და კატეგორიას შეიცავს. ეს ტერმინები გამოიყენება დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ზოგადად, ევროპული ქვეყნების თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში. წიგნში დანართის სახით წარმოდგენილია სამართლის სფეროში ფართოდ გავრცელებული 2 ათასამდე სიტყვათშემოკლება და ლათინური ენის ათასამდე ტერმინი.

ლექსიკონი განკუთვნილია ინგლისური ენის მცოდნე იურისტებისთვის — ლექტორების, სტუდენტების, თარჯიმნებისთვის, წიგნი აგრეთვე, დაეხმარება იურიდიულ ფირმებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ინგლისური ენის სპეციალისტებს.

წიგნის წარდგინების შემდეგ გაიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის მიერ მომზადებული ერთობლივი სემინარი, რომელმაც იმსჯელა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საკასაციო სასამართლოების მოდელებზე. სემინარი გახსნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა, სემინარს დაესწრნენ: ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის ხელმძღვანელი სილვი პანცი, გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში უვე შრამი, გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ბურქად იენკე...

სემინარის თანადამფინანსებელნი არიან გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისა და ფრიდრიხ ებერტის სახელობის ფონდები.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

◎ აქტუალური თემა

# მერი — მენეჯერი თუ პოლიტიკური ფიგურა?

***„თანახმა ხართ თუ არა, რომ ყველა დასახლებული პუნქტის (ქალაქის, თემის და სოფლის) მერი (გამგებელი) ამ დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მიერ პირდაპირი კენჭისყრით აირჩეს? — ოპოზიციური პარტიები უახლოეს მომავალში საქართველოში ასეთი შინაარსის რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავენ. მანამდე კი ცესკოში განცხადებით შევლენ, რომ რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე საზოგადოებაში ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ. ცესკო თავის მხრივ, ან დართავს მათ ნებას, ან არა.***

**დავით ბერძენიშვილი, „რესპუბლიკელების" ერთ-ერთი ლიდერი:** — „პრაქტიკულად ჩვენი განაცხადი ახლადარჩეული საარჩევნო კომისიის პირველი გამოცდაა წესიერებასა და კომპეტენტურობაში. თუ კანონის შესაბამისად, რეფერენდუმის ჩატარებაზე ნებართვა მივიღეთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ხელმოწერებს უპრობლემოდ შევაგროვებთ და პრეზიდენტი ვალდებული იქნება, რეფერენდუმი დანიშნოს. როდესაც ხელისუფლება გვეუბნება, რომ საკრებულოს მიერ არჩეული მერი საკმარისია, პარალელურად საზოგადოებასაც უნდა შევეკითხოთ, — ისიც ასე ხედავს თუ არა თვითმმართველობას, თუ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მერები და გამგებლები თავად უნდა აირჩიონ? ამომრჩეველთა უმეტესობა მერის პირდაპირი გზით არჩევითობას მხარს თუ დაუჭერს, ხელისუფლება ამომრჩევლის ნებას უნდა დაემორჩილოს".

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ თვითმმართველობა, პირდაპირი წესით არჩევითობა, სტაბილურობისა და დემოკრატიულობის მაღალიხარისხის გარანტია. შეგახსენებთ, ყოფილი ხელისუფლება რეფერენდუმის ჩატარებაზე უარს ამბობდა, მიზეზად კი ის სახელდებოდა, ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილი არ არისო. კანონის მიხედვით, რეფერენდუმი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს.

2003 წლის 2 ნოემბრის შემდეგ, რაც პარლამენტის წევრთა რიცხოვნობის შემცირებასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა და კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილება შევიდა, ეს არგუმენტი მიზეზად არ გამოდგება. დაუშვებს თუ არა ცესკო სარეფერენდუმოდ ხელმოწერების შეგროვებას, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება საკრებულოს მიერ მერის არჩევას, საპარლამენტო უმრავლესობის აზრით, ქვეყანას დღეს სწორედ ისეთი მერი სჭირდება, რომელიც დაახლოებით მენეჯერის ტიპის, ანუ მეურნე მუშაკი იქნება და არა პოლიტიკური ფიგურა. უმრავლესობაში ირწმუნებიან, საკრებულოს მიერ მერის



არჩევით, არაფერი დაშავდება, არაფერი ამაში არადემოკრატიული არ არის და აქ ჩამოსული მსოფლიოს არც ერთი პრეზიდენტი ამაზე საყვედურს არ გვეტყვისო.

**კი ბატონო, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, ხელისუფლებას საყვედური ქართველმა ხალხმა არ უთხრას!**

**მზია გელენავა.**

◎ წადი, წადი!

# ბოდიში, ნანული ბებო!

**სულ რაღაც ერთი თვეა, რაც საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო. მისი უფროსის — ლაშა მაღრაძის განცხადებით, ამ ერთ თვეში (კერძოდ, მაისში) ადამიანის უფლებათა დარღვევის იმდენი ფაქტი გამოვლინდა და, შესაბამისად, იმდენი პოლიციელი თუ პროკურორი დაისაჯა, რაც არ დასჯილა ბოლო 10 წლის მანძილზე. რა ვიფიქროთ? უცხოელთა საყვედურები გულთან უცბად მივიტანეთ თუ ახალ ცოცხს ამდენი ხნის დაგროვილი ნაგავი ერთ მოსმაზე მოვახვეტინეთ?..**

გუშინ 64 წლის ნანული ქენქაძე ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან შინ გაუშვეს. იგი თებერვალში დაუკავებიათ, წინასწარი პატიმრობა მიუსჯიათ, მერე პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდებიათ, მერე ისევ საკანში გაუმწესებიათ... მოკლედ, ამ ერთი ქალის ირგვლივ ისეთი პროცედურული ალიაქოთია ატეხილი, რომ 10 ყაჩაღს ეყოფა განსასჯელად. მაშ, შინ რად გაუშვეს? 9 ივნისს მას პატიმრობის ვადა გაუვიდა, მაგრამ... ეს დაავიწყდა ყველას, — როგორც პოლიციას, ისე იუსტიციის მუშაკებს. საკითხავია, — თუ გამომძიებელს ეძინა, პატიმარს არ აკითხავდა, რას ფიქრობდა იმ საპატიმრო დაწესებულების უფროსი, რომელსაც ნანული ბებია „ეწერა"? საიდან უნდა მიეტანა უკანონო „სტუმრისთვის" ან სასმელი ან საჭმელი?

ციხიდან გამოსვლისას, როცა ნანული ქენქაძე ავტომანქანში ძლივს-ძლივობით ჩაჯდა, თქვა სიმართლემ გაიმარჯვაო. რომელმა სიმართლემ? — ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. ნანული ქენქაძეს ბრალს სდებენ ტრეფიკინგში, ადამიანებით ვაჭრობაში. ასეთი საქმის ჩამდენს იქნებ ჩამოხრჩობაც ეკუთვნოდეს (ცხადია, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში), მაგრამ ახლა სამართალდამცველებმა ნანული ბებოს დიდი ბოდიში უნდა მოუხადონ... ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში (ნახევრად სანატორიუმში) ერთი დღით ზედმეტად გაჩერებისთვის.

რას ვიზამთ? კანონი კანონია. იგი თანაბრად ეხება ყველას და იგი ასევე თანაბრად უნდა დაიცვას ასევე ყველამ — პოლიციელმაც და პროკურორმაც. ახლა გენერალური პროკურატურა „იმუქრება", რომ პასუხს აგებინებს იმ პირებს, რომელთაც ნანული ქენქაძე ციხეში მიავიწყდათ!

დაბოლოს: როგორც გენერალურ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე გაირკვა, ნანული ქენქაძე აღმოაჩინეს შემთხვევით, სახალხო დამცველის აპარატის მუშაკთა ერთ-ერთი „შემოვლის" დროს. რომ არ შემოევლოთ? შეიძლება ქალი იქ უკანონოდ ერთ დღეს კი არა, ერთ თვესაც „მშვენივრად" მჯდარიყო და ერთ წელსაც. არ გაგიკვირდეთ, — საამისო ფაქტებიც გვაქვს. დღემდე ასე იყო და... აწი ვნახოთ. თხა იყოს, ტყუპი მოიგოს!

**ბონდო გულიაშვილი.**

№ 137, შაბათი, 11 ივნისი, 2005 წელი.

SIC! – დედაქალაქი

# ღირსებაშელახულნი



## თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი პრეზიდენტის განკარგულებებს და პარლამენტის კანონებს თვითონ ჭრის და თვითონ კერავს!

**ვარდების რევოლუციონერთა საკადრო რეფორმები, ხშირ შემთხვევაში, ჩვენს გონიერ საზოგადოებას „აქრქოლებს და ტანში ზარავს“:**

**„რა გვეფერება, ამ გამოუცდელმა ღლაპმა, ამხელა თანამდებობას როგორ უნდა გაართვას თავი?“**

**„ასე უგნიოდ, ხელის ერთი მოსმით, სად გაგონილა გამოცდილი კადრების დათხოვნა?“**

**„მსგავსი უსამართლობა და აბუჩად აგდება წინა ხელისუფლების დროსაც არ ყოფილა“..**

**რაღა განმარტება უნდა, ეს ხალხის აზრი, ხალხის გულისტკივილია. არ გაგიკვირდეთ და ამას, უპირველეს ყოვლისა, დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერნი, უფრო ზუსტად, შევარდნაძის ტოტალური სიცრუის რეჟიმით გულშეღონებულნი ამბობენ და ერთობ გაოგნებულნი, გასაგები ჟესტებით მიგვანიშნებენ, – ნუთუ, მართლა ვაის გავექცით და ვუის შევეყარეთ?**

**კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა. ჩვენი გაზეთისთვის კრიტიკა თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. დღესაც (ხვალაც!) ძალიან გვინდა, რომ საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, „მამათა“ შეცდომებზე ისწავლოს, სხვათა (თუნდაც, ბალტიისპირელთა, ისრაელთა) გამოცდილება გაიზიაროს, ჯანსაღი კრიტიკა გულთან მიიტანოს და ყოველმხრივ გატანჯული საქართველო და დაბეჩავებული ქართველი ხალხი განსაცდელისგან იხსნას.**

გულწრფელად გეტყვით, როცა სახელმწიფო-სამეურნეო საქმიანობაში აბსოლუტურად გამოუცდელი კაცი, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში „გამოჩენილი თავდადებისთვის“ პრეზიდენტმა დედაქალაქის მერად დანიშნა, გამიკვირდა, - მარტოოდენ წიგნებიდან მომზირალი და გრანტის მოპოვების ხათრით ერის სიწმინდის უპირველესი სიმბოლოს - ქართვლის დედის შეურაცხმყოფელი ბიჭი, დედაქალაქის ცოდვამადლს როგორ გაუმკლავდება-მეთქი.

ჩვენი მორჩილი და დამთმობი საზოგადოება ერთხანს მიყუჩდა, მაგრამ მალე მოთმინების ფიალა აევსო და ისევ ალაპარაკდა: მიწისძვრით დაზარალებულთათვის თითქმის არაფერი კეთდება, ვის სჭირდებოდა უსახური საახალწლო ნაძვის ხე და „ყინულის შოუ“, რომელიც ასეულ ათასობით ლარი დაჯდა; დედაქალაქის მერი ნუთუ იმას ვერ უნდა ხვდებოდეს, რომ ყბადაღებული სატრანსპორტო „სამკუთხედი“ სასწრაფოდ გააუქმოს... ქუჩების და ტროტუარების შეკეთება ნელი ტემპით მიმდინარეობს, თვით აეროპორტის ტრასა არაფრით გამოირჩევა სხვათაგან; უკანონო, პროექტის დარღვევით მშენებლობები ძველებურად გრძელდება, ქალაქს არა ჰყავს მთავარი არქიტექტორი, სამაგიეროდ შეიქმნა რაღაც ურბანული დაგეგმარების ჭიაბერაშვილისეული სამსახური, რომლის შექმნაში არც ერთ გამოჩენილ ქართველ არქიტექტორს არ მიუღია მონაწილეობა (თბილისი ერთადერთი დედაქალაქია მსოფლიოში, რომელიც გენერალური გეგმის გარეშე, მაშასადამე, ქაოტურად ვითარდება);

ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა ზურაბ ჭიაბერაშვილმა სამიოდე წლის წინანდელი პრემიერის გია შერაძის თუ საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის „უკანონოდ“ გაცემულ მიწის ფართობებზე კიდევ ერთი მოულოდნელი ბრიფინგი მოაწყო, ჟურნალისტები ერთხმად ალაპარაკდნენ, – როგორც ჩანს, ზურაბ ჭიაბერაშვილი სკამის შენარჩუნების მიზნით, ყველაფერს კადრულობსო!

მერიის შიგნით კი, ბუნტი კარგა ხანია დაწყებულია. ჩივიან ჭიაბერაშვილის საკადრო რეფორმის მსხვერპლი, ულუკმაპუროდ დარჩენილი, მოტყუებული თანამშრომლები. მათ უმრავლესობას, სამწუხაროდ, ჩივილის უფლებაც არა აქვს. მრავალთა შორის ერთ-ერთი, მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის თანამშრომელი, სოსო ხახუტაშვილი, რომელმაც მერის სალიკვიდაციო ბრძანებაზე მიაწერა „აღნიშნული ბრძანებულება არაკანონიერია და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის 120-ე ბრძანებულებას ეწინააღმდეგება“, დღეს დედაქალაქის თავკაცს ელემენტარული კანონების დარღვევასა და უცოდინარობაში ადანაშაულებს:

2005 წლის 1 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება (№ 120) „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-2 პუნქტით გაუქმდა საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციის და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი.

სწორედ ეს დებულება „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს მერიის უფლებამოსილებებს, სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.

ამ დებულების ერთ-ერთი მუხლით დამტკიცებულია იმ სამსახურების ჩამონათვალი, რომელთაც ლიკვიდაცია არ შეეხებია და წარმოადგენენ ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურას. საგანგებო დებულებითვე განსაზღვრულია – ქალაქ თბილისის მერის უფლებამოსილებანი: კერძოდ, ერთ-ერთი პუნქტით მერს შეუძლია, პრემიერის წარდგინებით, ცალკეული საქალაქო სამსახურების დებულებები, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა დაამტკიცოს.

2005 წლის 4 მარტს, ქ. თბილისის მერმა, გამოსცა განკარგულება ქალაქ თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის შესახებ, რასაც საფუძვლად დაუდო „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის ის მუხლები, რომლებიც მიუთითებენ, რომ მერს მხოლოდ და მხოლოდ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია გამოსცეს ბრძანებები და განკარგულებები.

ამ განკარგულებით, ქ. თბილისის მერი ავალებს ლიკვიდირებული – საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელობას – მოსალოდნელი ლიკვიდაციის შესახებ გააფრთხილონ მათ სამსახურებში მოღვაწე თანამშრომლები, ხოლო საკრებულოს, მთავრობის აპარატის და საქალაქო სამსახურის თანამშრომლები, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ.

2005 წლის 7 მარტს მერმა გამოსცა ახალი განკარგულება, რომლითაც ცვლილებები შეიტანა 4 მარტის განკარგულებაში და მოითხოვა „კანონმდებლობის შესაბამისად“ ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების მოსამსახურეთა გაფრთხილება სამსახურების ლიკვიდაციის გამო მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ, რომელიც შემდგომ თავისივე ბრძანებებით სისრულეში მოიყვანა.

როგორც იურისტები იტყვიან, ამ ქმედებით ზურაბ ჭიაბერაშვილმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, აშკარად დაარღვია კანონი ნორმატიული აქტების იერარქიის შესახებ, უგულვებელყო ამ კანონის მე–19 მუხლით გათვალისწინებული საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისთვის იურიდიული ძალის მიხედვით დამტკიცებული ნორმა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება დაუქვემდებარა თავის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ნორმატიულ აქტს (აქტებს) და კანონის უხეში დარღვევით მერიის საქალაქო სამსახურები გააუქმა.

გარდა ამისა, ჭიაბერაშვილმა არ შეასრულა თავისივე ბრძანებები და განკარგულებები, არ განახორციელა ლიკვიდაციასთან დაკავშირებული წინასწარი ღონისძიებები და ლიკვიდირებულ სამსახურებში ახალი თანამშრომლები მიიღო. მაგალითად, კანონიერების დაცვის გენერალურ ინსპექციაში, დეკრეტულ შევიწროვებაში მყოფ თანამშრომელთა ადგილზე, დაინიშნა არასრული უმაღლესი განათლების მქონე თინეიჯერები. ეს არის სოლიდურ სამსახურებში ნაცნობობით და ძმაბიჭობით მიღებული ხალხი.

ყოველივე ამან მერიის სამსახურებში, ბუნებრივია, სრული ქაოსი და განუკითხაობა გამოიწვია. მერის მიერ სამსახურში ყოველგვარი ატესტაციის გარეშე მიღებული, არაკომპეტენტური თანამშრომლები მას არასრულყოფილ მასალებს უმზადებენ და ბრიფინგების მოწყობაში ეხმარებიან. მოუმზადებელ ხალხს საზოგადოების წინაშეც მოუმზადებელი მასალები გამოაქვთ. მაგალითად, ფართო მსჯელობის საგანი გახდა მიმდინარე წლის 20 მაისს მერიაში ზ. ჭიაბერაშვილის მიერ გამართული მაღალი თანამდებობის მქონე პერსონების „ჩამშვები“ ბრიფინგი, რომელიც ეხებოდა 2002-2003 წლებში, ქ.თბილისში 300.000 კვ.მეტრი მიწის ფართობის გასხვისების კანონიერებას. ბრიფინგზე ქალაქის მერმა საჯაროდ განაცხადა, რომ თბილისის მიწები „უკანონოდ“ არის გასხვისებული, რომ მას „ქართული კანონი“ (ზუსტად ასე თქვა!) აძლევს საშუალებას გააუქმოს მის დაქვემდებარებაში მყოფი, თანამდებობის პირების მიერ გამოცემული განკარგულებები და ბრძანებები. კერძოდ, იგი მიუთითებდა ყოფილი პრემიერის გია შერაძის და დედაქალაქის იმდროინდელი მთავრობის დადგენილებებს.

თბილისის მერი, სინამდვილეში, უფლებამოსილი იყო საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ 1998 წელს მიღებული კანონის თანახმად, გაეუქმებინა ქალაქის პრემიერის განკარგულებები და შეეჩერებინა ქალაქის მთავრობის დადგენილებები, მაგრამ... 2004 წელს, საქართველოს პარლამენტმა შესწორება შეიტანა აღნიშნულ კანონში და მერს ქ. თბილისის პრემიერის განკარგულებების გაუქმება და მთავრობის დადგენილებების შეჩერების უფლებამოსილება ჩამოართვა. მას მხოლოდ იმის უფლება აქვს, რაიონების გამგებლების განკარგულებები გააუქმოს. აქედან გამომდინარე, მერის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადება ელემენტარული უპასუხისმგებლობის და მისი არაკომპეტენტურობის შედეგია. თვალწინ გვიდევს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, – უფლებამოსილების გადამეტება, რომელიც, ყველამ კარგად ვიცით, სერიოზულად ისჯება, თვით თავისუფლების აღკვეთითაც კი ვადით 3-დან 5 წლამდე.

ქალაქის მერი აცხადებს, რომ მიწების გასხვისება მოხდა „უკანონოდ“! ეს ფრაზა უდავოდ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და შეურაცხყოფს მაშინდელ საკრებულოსა და დედაქალაქის მთავრობას. იმ წლებში ჩვენს მცირემიწიან ქალაქში მართლაც მოხდა ფართობების ან ქონების უკანონოდ გასხვისება. ქალაქის მუნიციპალიტეტისთვის მათ დასაბრუნებლად საქართველოს კანონმდებლობით სრულად არის გამიჯნული უფლებამოსილებათა კომპეტენცია. კერძოდ, საქართველოს კანონში პრივატიზაციის შესახებ მითითებულია, რომ პრივატიზაციის კანონიერების შესწავლაზე უფლებამოსილია საქართველოს კონტროლის პალატა, რაც შეეხება მიწის გასხვისებასთან დაკავშირებულ აუქციონებს, რომელიც განხორციელებულია დედაქალაქის მთავრობის მიერ, მისი გაუქმების უფლებამოსილება ეკუთვნის საკრებულოს, ხოლო დავის წარმოშობის შემთხვევაში – სასამართლოს.

დედაქალაქში რომ სერიოზული ღონისძიებებია განსახორციელებელი კანონიერების დაცვის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უდავოა. ძველი მენტალური მიდგომით და ცხოვრების წესითაც რომ ვერაფერს მივაღწევთ, ესეც ფაქტია. ამ დროს მერი პატივს არ სცემდე კანონს, არ იცოდე, საკუთარი უფლება-მოვალეობანი, ყოვლად დაუშვებელია. ძნელი წარმოსადგენია ისიც, თუ როგორ განახორციელებს მერი საჯარო კონკურსის წესით სამსახურში თანამშრომლების მიღებას, როდესაც იგი თავად არის კომისიის თავმჯდომარე!

ზურაბ ჭიაბერაშვილი ბრიფინგს აწყობს მიწების უკანონო გასხვისებაზე და არ იცის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში განკარგვის წესი. ოფიციალურად აცხადებს უკანონო პრივატიზაციაზე და არ იცის კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“. მისი არაკომპეტენტურობის წყალობით, ისეთ რთულ სატრანზიტო ქალაქში, როგორიც თბილისია, დამონტაჟდა შუქნიშნები, რომლებიც არა ოდენ საერთაშორისო, არამედ საქართველოს სახელმწიფო სტანდარტებსაც არ შეესაბამება.



**ამ დღეებში იოსებ ხახუტაშვილის სარჩელი წარმოებაში მიიღო თბილისის საოლქო სასამართლომ. საოლქო მართლმსაჯულება განიხილავს თბილისის მერიის მიერ გამოცემული ბრძანების – ქ.თბილისის საქალაქო სამსახურის – კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის „ლიკვიდაციის შესახებ“ ბათილად ცნობის საკითხს. რაც შეეხება იოსებ ხახუტაშვილის წინანდელ თანამდებობაზე აღდგენის საკითხს, იგი განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.**

**საოლქო სასამართლომ საქმის განხილვაში ჩართო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.**

**წინ დიდი „გარჩევები“ გველის. იმედია, სამართალი პურს ჭამს.**

**სპარტაკ ქოზულია.**

ოპოზიცია

## გია მაისაშვილი:

# ჩვენი მიზანია საზოგადოების გაჯანსაღება და არა ერთი ხელისუფლების მეორეთი პიროვნული ჩანაცვლება

***არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის მთავრობა“ უკვე ერთი წელიწადია, რაც ჩამოყალიბდა და სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. მასში გაწევრიანებულნი არიან იურისტები, ეკონომისტები, სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდა თაობის ადამიანები.***

***შარშან გაიმართა „მომავლის მთავრობის“ ლიდერის გია მაისაშვილის წიგნის წარდგინება, რომელმაც დიდი მოწონება და გამოხმაურება გამოიწვია. გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ წიგნის მკითხველთა 70 პროცენტი პროფესიონალია ეკონომიკის დარგში. ესენი არიან უფროსი თაობის წარმომადგენლები. 25 პროცენტს წარმოადგენენ ახალგაზრდები: იურისტები, ეკონომისტები და ა.შ. 5 პროცენტი ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან.***

**– ბატონო გია, ამჟამად თქვენ მუშაობთ დისერტაციაზე. თუ საიდუმლო არ არის, რა თემატიკა აირჩიეთ?**

– ჩემი ნაშრომი „კეთილდღეობა“ ასახავს ყოფითი კულტურის დამოკიდებულებას კეთილდღეობასთან. იმედია, დღეს აღარ დავობენ იმაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკური კულტურა განაპირობებს კეთილდღეობას. გარკვეულ ქვეყნებში ყოფითი კულტურა ხელს უწყობს სწორედ ქვეყნის კეთილდღეობას. კულტურაში იგულისხმება არა მხოლოდ მწერლობა, მხატვრობა და ა.შ. არამედ ყოფითი კულტურის თვისებები: ჩვევა, წესრიგი, ოჯახში დამოკიდებულება, საზოგადოების წევრთა ურთიერთობა ერთმანეთთან, რელიგია და ა.შ. ამათი ერთობლიობა განსაზღვრავს ეკონომიკურ კეთილდღეობას. საჭიროა კულტურული გარკვევა, ახალი ეროვნული იდენტურობის ჩამოყალიბება. ეს შესაძლებელი გახდება მაშინ, როცა სახელმწიფოს ან საზოგადოებას ახალი ფუნქცია, ახალი მისია მიენიჭება, რომელიც აღიარებს ახალ მენტალურ მოდელს, ანუ ზეგავლენას მოახდენს ყოფით ჩვევაზე. ეს არის ქვეყანაში ახალი სახელმწიფო მშენებლობის პროცესის დაწყების საფუძველი, რასაც ამ ნაშრომში თეორიულად ვასაბუთებ და მინდა პრაქტიკაში გადმოვიტანო. ამ თეორიის პრაქტიკაში განხორციელება გულისხმობს, რომ ლიდერის როლმა დიალოგის ჩარჩოები მოიტანოს, ახალი პარადიგმა დამკვიდრდეს და ახალმა პარადიგმამ შექმნას საშუალება საზოგადოების დიალოგში ჩასაბმელად, ამ დიალოგის ჩარჩოებში დღევანდელი საზოგადოება ჩამოყალიბდეს და მისი ცნობიერება გაიზარდოს. როდესაც ამ საკითხზე ვმუშაობ, ჩემს ქვეყანას ვგულისხმობ. გუნდური მენტალიტეტის კულტურის არსებობა აუცილებელია. მე ვამბობ: თუ მე მინდა გამარჯვება, მაშინ შენ უნდა გაიმარჯვო, რაც პასუხისმგებლობის გადანაწილებას მოითხოვს. მოქალაქეობის შეგრძნება, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ქვეყანას სჭირდება, ეს ამკვიდრებს აზრს, რომ შენ პასუხისმგებელი ხარ არა მარტო შენს ოჯახზე, არამედ მთლიანად საზოგადოებაზე“.

**– როგორია მუშაობის თქვენეული პროგრამა? რას გულისხმობს მსახური ლიდერის ფენომენი?**

– ლიდერი ხარ მაშინ, თუ შენ ხარ მსახური, რაც ამბიციურობის მომენტს გამორიცხავს. თუ საზოგადოება ამას გაითავისებს, შემთხვევითი ადამიანები მოძღვრის, ლიდერის როლში ნაკლებად მოგვევლინებიან. იესო საუკეთესო მაგალითია ყველა ჩვენგანისთვის, თავმდაბალი იყო, მსახურებაზე ორიენტირებული მისი ლიდერობა, მისი, როგორც მასწავლებლის როლი გადმოსაღებია თანამედროვე საზოგადოებისათვის. გვინდა, რომ იესო იყოს ჩვენი მაგალითი.

**– თქვენ ამბობთ, რომ შესაძლებელია ფსიქო-მორალური პრობლემის გადაწყვეტა, როდესაც სამართლიანი, ეფექტიანი, სოციალურ-ეკონომიკური სისტემა ჩამოყალიბდება. რა გზით შეიძლება ითანამშრომლოთ ხელისუფლებასთან?**

– ჩვენ მოვდივართ და ვამბობთ, რომ სხვა სიბრტყეში გადმოგვაქვს პოლიტიკური ურთიერთობები, რომელიც სამი საფეხურისგან შედგება: წარმატებული საზოგადოება, ჯანსაღი ეკონომიკა და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი. ეს სამსახურებრივი მოდელი სამიარუსიან გადაწყვეტილებას ეფუძნება და საბოლოოდ ერთი მოდელის სტრუქტურას ვღებულობთ, რომელიც გულისხმობს, რომ პიროვნების, ორგანიზაციის და სახელმწიფოს წარმატება ერთმანეთზეა დამოკიდებული. საზოგადოება ინფანტილური მდგომარეობიდან მოფიქრალ, ინტელექტუალურ საზოგადოებად უნდა გადაიქცეს. საზოგადოების გაჯანსაღებას ვუწყობთ ხელს და არა ერთი ხელისუფლების მეორეთი პიროვნულ ჩანაცვლებას.

**– თქვენი ჯგუფი რამდენიმე თემატიკაზე მუშაობს, მათგან ერთერთი საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებებია. ამ თვალსაზრისით რას ეფუძნება თქვენი მეცნიერული ანალიზი?**

– არსებულ პირობებში მთავარია ორი ვექტორის პარალელურად ამოქმედება, ანუ ახალ ხელისუფლებაზე ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, თუ პოლიტიკური ნება იქნა, უნდა ავამოქმედოთ სოციალურ საკითხთა და ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბების ვექტორები. ეკონომიკა სოციალურ საკითხთა გარეშე ვერ განვითარდება და – პირიქით. სოციალური კაპიტალი მოქალაქეობის განწყობას ქმნის, რაც სოციალურ-მორალურ რესურსს წარმოქმნის, რომელიც მთავარი ფორფოსტი, ფუნდამენტია თანამედროვე ეკონომიკური შენობის ასაშენებლად. საზოგადოება ვერ აშენდება, თუ არ ჩამოვაყალიბეთ სოლიდარობის საზოგადოება. ქუჩაში გაგდებული მრავალი ადამიანი უიმედოდაა დარჩენილი. ჩვენ გვინდა შევთავაზოთ მთავრობას სოლიდარობის ფონდის დაარსება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან და თითოეული მოქალაქის შემოსავლიდან ერთი პროცენტი სოლიდარობის ფონდში ირიცხება. დასავლეთ გერმანელებმა ასე მოახდინეს აღმოსავლეთ გერმანელების ინტეგრირება დასავლეთ გერმანიასთან. ეს ადამიანები, რომლებიც ამ დახმარებას მიიღებენ, ანგარიშვალდებულები იქნებიან შენს წინაშე, ჩემს წინაშე, საზოგადოების წინაშე. საზოგადოების წარმატება ისევ და ისევ ამ ადამიანების საზოგადოებრივ ფერხულში ჩაბმაა. ეს განწყობა ქმნის მოხალისეობას, რაც მოქალაქედ ჩამოყალიბების მთავარი პირობაა.



**– ექსპერტების აზრით, საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გაიზარდა, რაც შემდეგ მოსაზრებას ეფუძნება: ჩვენს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის დაბანდებით ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი უფრო აიწევს. როგორც ექსპერტი, რა კომენტარს გააკეთებდით?**

– ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მხოლოდ ერთ – მშენებლობის სექტორში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობის მშენებლობის ხარჯზე გაიზარდა. ეს ზრდის ეროვნულ შემოსავალს. ეროვნული შემოსავალი უნდა გაზარდოს იმ დინამიურმა პროცესმა, რომლის საფუძველიც დაემყარება სახელმწიფოს განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიას, ბიზნეს-ორგანიზაციის ოპერირება, რაც შეიძლება, უნდა გაიაფდეს. ამისათვის ქვეყანაში ხელშემწყობი პირობები უნდა არსებობდეს: საგადასახადო სისტემის მეშვეობით ბიზნესის გაიაფება, მარეგულირებელი სისტემით სოციალური კაპიტალის არსებობა და კრიმინალური სამყაროს მინიმუმამდე დაყვანა – ის გარემოებები, რომელიც საჭიროა ბიზნესის წარმოებისთვის და თუ ეს ხელშემწყობი ფაქტორები იარსებებს, მაშინ საქართველოში ბიზნეს-ბუმი დაიწყება.

**– თქვენი აზრით, ეს ორი წელი საკმარისია მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც გაათავისუფლეს გადასახადებისგან, რომ მათ საკუთარი ბიზნესი აწარმოონ?**

– ვფიქრობ, პირველი ნაბიჯი მოგების გადასახადის გაუქმებაა. გვინდა ამ მხრივ ესტონელების გამოცდილება გამოვიყენოთ, რომლებმაც იგივე პროცესი გაიარეს. ეს პროცესი დინამიურია აღმოსავლეთ ევროპაშიც, სადაც ყველაზე მაღალია ეკონომიური ზრდის ტემპი და ყველაზე დაბალია უმუშევრობა. მათ მოგების გადასახადიდან გაათავისუფლეს მოქალაქეები, ჩვენ უფრო შორს წავალთ და მოგების გადასახადს მთლიანად გავაუქმებთ. ეს გამოიწვევს იმას, რომ იატაკქვეშეთში მყოფი ბიზნესმენები გამოვლენ მზის სინათლეზე. მათ საშუალება ეძლევათ ამ კუსტარული ბიზნესიდან გააფართოვონ შემოსავლის არეალი, ანუ მოხდეს ბიზნეს-ინოვაცია. რადგან ბიზნესი გაფართოვდება, ეს შეამცირებს სოლიდარობის ფონდზე დამოკიდებული ადამიანების რიცხვს, აი, როგორია ეს ურთიერთკავშირი.

**– რას იტყოდით ამერიკის პრეზიდენტის ჩამოსვლასთან დაკავშირებით? დამეთანხმებით, ეს ისტორიული ფაქტია.**

– ჯორჯ ბუშის ჩამოსვლა ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და გახარებულიც ვარ. ეს ვიზიტი საქართველოსა და ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებში შედის. ეს არის ქართული სახელმწიფოს პროდასავლური კურსის წახალისება და მეორე, ყველაზე მთავარი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჩამოსვლის მიზანი იყო ახალ დოქტრინაზე ორიენტირებული, რომელსაც ბუშის დოქტრინა ჰქვია – ტერორიზმთან ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიის გაფართოების გზით. მან პირადად ძალიან დიდი პოლიტიკური კაპიტალი დაიგროვა. ჩვენ გვინდა ეს ვითარება გამოვიყენოთ არა მხოლოდ დეკლარირების სახით. ამას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, გარედან ვითომ მტერს რომ უბრმავებს თვალს და შიგნიდან მოყვარეს. მოჩვენებითი დემოკრატიის მშენებლობა დიდხანს ვერ გაგრძელდება.

აქ ჩამოსვლით ბუშმა ერთგვარი განცხადება გააკეთა, რომ შოუს დრო დამთავრდა, ახლა მთავარია კონკრეტული საქმის კეთება, ინსტიტუციური ბაზის შექმნის მშენებლობა და მინიშნება იმაზე, რომ ლიბერალური დემოკრატია გულისხმობს ხელისუფლების სამი შტოს – აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და ერთმანეთისაგან განსხვავებას, ანუ სეპარაციას. არ შეიძლება მხოლოდ ერთი ჯგუფი ახდენდეს ამის სრულ კონტროლს. ლიბერალური დემოკრატია ნიშნავს ადამიანის უფლების დაცვას, კონტრაქტის ხელშეუხებლობას, პრესის, შეკრების თავისუფლებას. განა დღეს ადამიანის უფლება დაცულია, ან პრესა დამოუკიდებელია? გამოდის, რომ მხოლოდ საფასადო დემოკრატია გვქონია, რომ ეს არის ანტიამერიკული ხელისუფლება. დასავლეთისთვის დეკლარირება, მე პროამერიკელი ვარო, არ ნიშნავს, რომ მართლა პროამერიკელი ან პროქართველი ხარ. პროამერიკელობა ან პროქართველობა ქცევით უნდა გამოიხატოს. მათი ქცევა თავისი შინაარსით ანტიქართული, ანტიამერიკულია, სხვა არაფერი დამრჩენია, გარდა იმისა, რომ ანტიქართველები და ანტიამერიკელები ვუწოდო მათ. პოტიომკინის დროის მშენებლები ჩვენთვის მიუღებელნი არიან, ჩვენთვის მისაღები არიან ნამდვილი ქართული ძარღვიანი სოფლის მშენებლები.

ესაუბრა

**ელენე ფარადაშვილი.**

ინფორმაცია

## ვის სურდა კვიციანის აფეთქება?

**კოდორის** ხეობის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის კუთვნილი უაზის ტიპის ავტომობილში გუშინ დილით 1 კილოგრამი ტროტილი აღმოაჩინეს.

ყოფილ რწმუნებულს მანქანა სანადიროდ მიმავალმა ადგილობრივმა მკვიდრმა გელა გურჩიანმა სთხოვა. ვიდრე მანქანაში ჩაჯდებოდა, მან შემთხვევით ძრავაში ჩაიხედა და ნახა, რომ ერთ-ერთ ნაწილზე თასმებით უცხო ნივთიერება იყო მიმაგრებული. დაადგინეს, რომ აღმოჩენილი ნივთიერება ერთ კილოგრამამდე ტროტილს შეადგენდა, იგი მანქანის დაქოქვისთანავე ამოქმედდებოდა.

მიმდინარეობს მოკვლევა.

## რეიდები გარევაჭრობის წინააღმდეგ

**ეს** ღონისძიება მთელი თბილისის მასშტაბით ხორციელდება. განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონზე, სადაც ამ დროისთვის მობილიზებულია საპატრულო პოლიციის 100-მდე თანამშრომელი და რაიონის გამგეობის დასუფთავების სამსახური.

აღნიშნული რაიონის გამგებლის, რამაზ სულამანიძის განცხადებით, დეზერტირების ბაზრისა და მეტროსადგურ ვაგზლის მოედნის ტერიტორიაზე გარემოვაჭრეები აღარ არიან.

საპატრულო პოლიციას გარემოვაჭრეთა მხრიდან წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

**ჯი-ეიჩ-ენი.**

## რეგისტრაციის მონაცემებს გადაამოწმებენ

**საქართველოს** ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, გაეროს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის დახმარებით, დევნილთა ვერიფიკაციაზე ანუ მონაცემთა ბაზის შექმნაზე 2004 წლის ბოლოდან მუშაობს. ბოლო მონაცემებით, საქართველოში აფხაზეთიდან და „სამხრეთ ოსეთიდან“ დევნილი 208 012 ადამიანი ცხოვრობს.

დევნილთა ანკეტირება-გადამოწმების მიზნით მუშაობს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცხელი ხაზი: 38-47-98. ვერიფიცირების საბოლოო შედეგები ივნისის ბოლოს გახდება ცნობილი.

## კარტოფილი და სტაფილო გაძვირდა

**სამომხმარებლო** ფასების ინდექსმა ერთი კვირის მანძილზე (3 ივნისი – 9 ივნისი) 98,37 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 97,62 პროცენტი იყო.

ეს ინდექსი ასახავს 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას.

წინა კვირასთან შედარებით ფასების საერთო დონე შემცირდა 1,63 პროცენტით, მათ შორის სასურსათო საქონელზე – 3,43 პროცენტით; არასასურსათო საქონელზე – 0,19 პროცენტით; ხოლო მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა.

გასულ კვირასთან შედარებით ფასები შემცირდა კიტრზე (33,3 პროცენტით), პომიდორზე (27,8 პროცენტით), ჩამოსასხმელ ღვინოზე (11,8 პროცენტით), კვერცხზე (10,5 პროცენტით), ძროხის ხორცზე (7,7 პროცენტით), ვაშლზე (7,1 პროცენტით), გაყინულ თევზზე (7,0 პროცენტით), ქათმის ბარკლებზე (3,0 პროცენტით);

ამასთან, ფასები გაიზარდა კარტოფილზე (14,3 პროცენტით), სტაფილოზე და ჭარხალზე (8,3 პროცენტით) და ფოთლოვან კომბოსტოზე (7,7 პროცენტით).

წინა კვირასთან შედარებით ფასი შემცირდა ბენზინზე „ნორმალი“ (1,8 პროცენტით).

გასულ კვირასთან შედარებით ფასები არ შეცვლილა მომსახურებაზე.

## თბილისში რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩი ჩამოვიდა

**იგორ სავოლსკი** შეუერთდება საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმდინარე მოლაპარაკებებს, რომელიც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის დეტალების დაზუსტებას ეძღვნება. დაგეგმილია მისი პირისპირ შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძესთან.

## თანამშრომლებს კონკურსის წესით მიიღებენ

**თბილისის** საკრებულომ ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ დებულებაში დამატებები შეიტანა.

ამ ცვლილების თანახმად, ჩამოყალიბდება საპრეტენზიო კომისია, რომლის წევრებსა და თავმჯდომარეს საკრებულოსთან შეთანხმებით თბილისის მერი შეარჩევს.

ტესტირება სპეციალური საგამოცდო ტესტებით ჩატარდება, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება.

**მედია-ნიუსი.**

კონფლიქტის ზონა

# აქეთაც ბადრაგი, იქითაც ბადრაგი...

**ცხინვალში დაკავებული სამი ქართველი ახალგაზრდა სოფელ ქურთადან არიან, სამივენი კარგი, პატიოსანი ოჯახის შვილები. ჰამლეტ ხაჭაპურიძის დედა, ქალბატონი მანანა პედაგოგია, მამა – ცნობილი მეურნე. პატიოსნად აღზარდეს შვილები.**

გუშინ ტელევიზიით აჩვენეს მტირალი დედა, ამ მთავრობაზე გულმოსული მეზობლები. – რატომ არ გვკითხულობენ? ჩვენც ავიყაროთ და დევნილებად ვიქცეთ? – ამბობენ ისინი.

მართლებიც არიან. მჯერა, რომ არც ერთ საღად მოაზროვნე ოსს და ქართველს არ უნდა ეს კონფლიქტი. უსიამოვნებამ დაღალა ისინი. ჟამიდან ჟამზე, სულ რომ არ ელოდებიან, ისეთ დროს იკეტება გზები. იქით, ქართულ სოფლებზე ოსები უშიშრად ველარ გადიან, ვერც აქეთ – გორისკენ გამოდიან ქართველები უშიშრად ქალაქ ცხინვალზე...

მოკლედ, აქეთაც – ბადრაგი, იქითაც – ბადრაგი. მერედა ვისთვის – აქ დაბადებულ-გაზრდილთათვის, ომისგან ძალაგამოცლილ მოხუცთათვის, ომში წამოჩიტულ, სიძულვილში და მუდმივ დაძაბულობაში გაზრდილ ყმაწვილთათვის.

როდემდე? როდემდე?

გუშინ ტელეფონით დავუკავშირდი სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში გოგა ხაინდრავას. ცხინვალში იყო წასული. მისი მოადგილე – გია ვოლკსი კი – ბელგიაში. ასე მითხრა მათმა თანაშემწემ. განსაცვიფრებელია ამ ადამიანების მონდომება და ძალისხმევა ცხინვალის რეგიონის პრობლემის გადაჭრაში. ყველა ხედავს, რომ ისინი დღე და ღამეს ასწორებენ, უძილო, დასიებული თვალებით გამოდიან ტელეეთერში და მსმენელს რეგიონში შექმნილ მდგომარეობას ამცნობენ.

ეს კარგია, მაგრამ არის კი საკმარისი ტელეეკრანზე გარბენილი ერთ-ორწუთიანი ინფორმაცია იმისთვის, რომ ადგილზე დარჩენილმა ქართულმა, და არა მარტო ქართულმა მოსახლეობამ, ზუსტად და მთელი სიცხადით შეიგრძნოს ის პოზიცია და პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს ამ ტერიტორიაზე?

ამას ვამბობ თუნდაც იმიტომაც, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ამ გაზაფხულზე სტრასბურგში გაკეთებულმა განცხადებამ კუთხისთვის სტატუსის მინიჭების თაობაზე ქართული მოსახლეობის მკვეთრად რადიკალური, უფრო სწორად, საწინააღმდეგო განწყობილება გამოიწვია, და ამას ყველა ხმამაღლა ლაპარაკობს.

სულ სხვა თემაა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ მხრივ ეს კუთხე ჩაძირულია. ომი ძალიან უშლის ხელს ხალხის ნორმალურ ყოფა-ცხოვრებას, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

პერსპექტივები? – იმდენია, რამდენიც გინდათ – მინერალური წყლები, პირდაპირ მიწიდან ამოხეთქილი, უქმად იღვრება ღელეებში... ხოლო საუკეთესო ჯიშის ვაშლი და მსხალი, კენკროვანი – გაზაფხულობით უპატრონოდ ლპება ბაღის ბოლოში...

არც მცირე ბიზნესი, არც გადამმუშავებელი მრეწველობა...



ლიახვის ხეობა

მაგრამ როგორც ჩანს, ამ პრობლემების მოგვარებამდე ჯერ კიდევ შორია. უახლესი საკეთებელი – დაძაბულობის აღმოფხვრა და ადამიანების უფლებების დაცვაა. უფლებების, რომლებიც აგერ, თხუთმეტი წელიწადია უმოწყალოდ ილახება.

ადამიანთა გატაცება, უცერემონიო სროლა, გზების გადაკეტვა, ხშირად სრულიად უდანაშაულოთა მსხვერპლი... აი, მცირე ჩამონათვალი იმ ტრაგედიისა, თხუთმეტი წელიწადი რომ მძვინვარებს ამ ლამაზ მხარეში.

მოკლედ, ეს არის ძაღლური, დღე და ღამ დაძაბული ცხოვრება...

ახლა ხშირად ამბობენ, რომ მსოფლიოში უკვე უსწრაფესად გვარდება ეთნოკონფლიქტები. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოსაგვარებლად ორივე მხარის დიდი ძალისხმევაა საჭირო. ასევე აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება, იქ მცხოვრები ოსი თუ ქართველი საღად მოაზროვნე ადამიანების. გამოკვეთილი გაბედული პოზიციები, რათა სინათლემ შეიხედოს ყველა ჯურღმულში, რათა გონიერებამ აჯობოს უგუნურობას.

ყოველივე ამას კი წინ უნდა უძღოდეს გააზრებული სახელმწიფოებრივი ხედვა და კარგად გათვლილი პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც ორი დაპირისპირებული ხალხის ინტერესებს თანაბრად დაიცავს.

**ლია ჭილაძე.**

გვათქმევინეთ და მოგვისმინეთ!

# გამოსავალი იმ შემთხვევისთვისაც, თუ ყველა გზა უკვე მოჭრილია...

## ნუ გადაყრით ფულში 62 მილიონ დოლარს!

**რედაქციამ მიიღო არქიტექტურული საზოგადოების 19 ცნობილი წარმომადგენლის წერილი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტისადმი არის მიმართული, და, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:**

[illegible]

**ბატონო მიხეილ,** მოგმართავთ თბილისის ახალი აეროვაგზლის მშენებლობასთან დაკავშირებით.

24 მაისს აეროპორტის ტერიტორიაზე შედგა ახალი აეროვაგზლის შენობის მაკეტის პრეზენტაცია [illegible]

ჩვენი პრესა, ტელევიზია თვეების განმავლობაში ფართოდ აშუქებდა ე. წ. „ტენდერის“ [illegible] კომპეტენტურობას, კუსტარულობას. ორგანიზატორებმა — საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა“ ყურად არ იღეს საზოგადოებრივი და პროფესიული აზრი, რომელიც, „ტენდერის“ გამოცხადების პირველი დღეებიდანვე მოყოლებული, მოუწოდებდა მათ, მოექციათ პროცესი კანონის ჩარჩოებში, ბოლოს და ბოლოს, საკითხი ეხება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ობიექტს, დედაქალაქის ჭიშკარს, ერის ღირსებას.

საზოგადოებას აქვს კანონიერი უფლება, იცოდეს თუ რაში იხდის 62 მილიონ დოლარს, რა მეთოდით განისაზღვრა ეს თანხა, როდესაც არ არსებობს პროექტის მუშა-სტადია. ასეთი მეთოდი მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს, გარდა პირდაპირი გარიგებისა.

**ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ ყოვლად გაუმართლებელ, ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილ, პარლამენტის მხრიდან წაყრუებულ ტენდენციაზე, როდესაც მნიშვნელოვანი არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი და სამშენებლო პრობლემები წყდება პროფესიონალების გვერდის ავლით, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი, ჯერ კიდევ შემორჩენილი, სახელმწიფო ინსტანციების იგნორირებით, მათი უფლებამოსილების უზურპირების გზით, დირექტიული წესით.**

„გამარჯვებული“ კომპანია გვპირდება აეროვაგზლის 11 თვეში მშენებლობას. როგორ? ჯერ პროექტს არ გაუვლია საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი პროექტის შეთანხმება-დამტკიცების პროცედურის არც ერთი ეტაპი — ქალაქისგან არ მიუღიათ არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი დავალება, ტექნიკური პირობები ათამდე საქალაქო საინჟინრო ტექნიკური სამსახურიდან. ბუნებრივია, ამ სამსახურებს არც განუხილავთ და არც შეუთანხმებიათ პროექტი. პროექტს არ გაუვლია სახელმწიფო ექსპერტიზა და არ მიუღია ნებართვა მშენებლობაზე.



[illegible] (და არა მხოლოდ ჩვენ) — ვიცოდეთ, ვინ იქნება შედეგზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირი და არა ორგანიზაცია თუ სამინისტრო, „ხალხი“ თუ „საზოგადოება“, რაც, თავისთავად, გულისხმობს უპასუხისმგებლობას.

გადაჭარბებული ხომ არ არის ჩვენი სკეპტიციზმი? — არა! ამის დასტურად გთავაზობთ, ნახოთ უახლესი ინფორმაცია — მოსკოვის დომოდედოვოს აეროპორტის გაფართოება-რეკონსტრუქციის საკონკურსო პროექტები (და არა „ტენდერი“ მშენებლობაზე). იოლად შეამჩნევთ იმ არსებით განსხვავებას, რაც „ჩვენს“ პროექტსა და დომოდედოვოს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებს შორის არსებობს კონცეპტუალური და ესთეტიკური თვალსაზრისით.

ჯერ კიდევ არსებობს შანსი იმისა, რომ 62 მილიონი დოლარი [illegible] — უსახურობა?!“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 31 მაისი, 2005 წ.) გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დაუშვებელია მშენებლობის ვადა ვაქციოთ პანაცეად და მას გადავაყოლოთ ყველაფერი, მათ შორის უმთავრესი — არქიტექტურული ხარისხი.

**თუ საქმისთვის აუცილებელია, თუ ყველა სხვა გზა უკვე მოჭრილია, მიეცეს „ტენდერში“ გამარჯვებულ კომპანიას ობიექტის მშენებლობის უფლების გარანტია და გამოცხადდეს კონკურსი საუკეთესო პროექტზე.** შესაძლებელია, საკონკურსო პირობას საფუძვლად დაედოს მენაშენე ფირმის ტექნოლოგიური სქემები (რამდენიმე ვარიანტი), მუშა პროექტი დამუშავდეს კომპანიის ბაზაზე გამარჯვებული პროექტის ავტორის მონაწილეობით და საავტორო უფლებების დაცვით.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის ინსტიტუტის არქიტექტურული საზოგადოება“ —**

**პროფესორები:**

**გივი ბერიძე, თენგიზ გოგოლაშვილი, ნანული თევზაძე, თამაზ თევზაძე, ელენე კალანდაძე, ოთარ ნახუცრიშვილი, თენგიზ მახარაშვილი, გივი მეტრეველი, ნოდარ ქვათელაძე.**

**დოცენტები:**

**გივი გაგუა, მერაბ გაგნიძე, გივი გეგეშიძე, ვაჟა გელაშვილი, ნუგზარ დუდუჩავა, ნინო იმნაძე, ზურაბ მათიაშვილი, დავით მახარობლიშვილი, მედეა მელქაძე, გია ნადირაძე, ზურაბ სუხაშვილი.**

თანამშრომლობა

# კომენტარი: საქართველოს არასრული დემოკრატია

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტი თბილისში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოსთვის. ბუშის ვიზიტი ხაზს უსვამს, რომ შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს დემოკრატიზაციის პროცესს პოსტსაბჭოურ სივრცეში, რომელსაც მძლავრი იმპულსი მიეცა 2003 წლის ნოემბერში საქართველოში მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შედეგად. ეს ვიზიტი ასევე განამტკიცებს საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონის ფლაგმანი სახელმწიფოს როლს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით, და ორაზროვნად მიანიშნებს რუსეთს, რომ დასავლეთი საქართველოს ბედის ანაბარა არ მიატოვებს.**

მაგრამ საქართველოს მცხოვრებლებმა ასევე ყურადღებით უნდა გაითვალისწინონ ისიც, თუ რა უთხრა პრეზიდენტმა ბუშმა თავის ახალგაზრდა ქართველ კოლეგას მიხეილ სააკაშვილს.

ასეთი დაინტერესება სავსებით გასაგებია. მიხეილ სააკაშვილის თითქმის 500-დღიანი პრეზიდენტობის ვადა საქართველოში საკმაო წინააღმდეგობებით არის აღსავსე. თანაც, თუ წარმატებები და მიღწევები, პრინციპში, უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება შეცდომებთან შედარებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს შეცდომები განსაკუთრებით საგრძნობია საქართველოს მოქალაქეებისთვის.

6 მაისს საქართველომ აღნიშნა კიდევ ერთი „რევოლუციის“ წლისთავი. ერთი წლის წინათ აჭარის ავტონომიაში დაამხეს დესპოტი მმართველის ასლან აბაშიძის რეჟიმი, რომელიც აჭარას მართავდა ისე, როგორც ლუკაშენკო ბელორუსიას. აბაშიძეს დამხობას სისხლისღვრის გარეშე სამართლიანად მიიჩნევენ როგორც სააკაშვილის ერთ-ერთ ყველაზე დიდ წარმატებას.

სააკაშვილის მოქმედება მკვეთრად განსხვავდებოდა ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოქმედებისგან, რომელმაც, არა მარტო ვერ გაბედა აღეკვეთა აბაშიძის ტირანია, არამედ არაერთხელ მიმართა კიდეც მას დახმარებისთვის კრიზისული სიტუაციების დროს.

მაგრამ აბაშიძისშემდგომი აჭარა ყველაზე კარგად გვიჩვენებს სააკაშვილის მმართველობის ხასიათს.

აჭარაში სცადეს (თუმცა, არცთუ ისე წარმატებით), აბაშიძის ტოტალიტარიზმი შეეცვალათ პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი მოძრაობის“ ერთპარტიული მმართველობით, 2004 წლის ივნისში ავტონომიის პარლამენტის არჩევნები გახდა დაკარგული შანსი მათი დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით. საკონსტიტუციო კანონმა ავტონომიის სტატუსის შესახებ ეს სტატუსი სიმბოლურ დონემდე დაიყვანა, ახალმა პოლიტიკურმა და მმართველმა ელიტამ კი აშკარად გაუცრუა იმედი აჭარის მცხოვრებლებს.

აჭარა არის მთელს პოსტსაბჭოურ საქართველოში ამჟამად მიმდინარე პროცესების ილუსტრაცია. წარმატებით დაწყებული საქმის დაგვირგვინება ხშირად ეჭვქვეშ დგება (ზოგიერთ შემთხვევაში კი კონტრპროდუქტიულიც ხდება) იმის გამო, რომ ხელისუფლებას არ აქვს ხანგრძლივი და კარგად მოფიქრებული სამოქმედო პროგრამა, არის კვალიფიციური კადრების დეფიციტი, აშკარად თვალშისაცემია უხოდიშო მოპყრობა რიგით მოქალაქეებთან და ის, რომ არ სურთ ან არ ძალუძთ აღიქვან კეთილმოსურნე და კონსტრუქციული კრიტიკა.

პრეზიდენტად გახდომისთანავე სააკაშვილმა შეცვალა კონსტიტუცია, უფრო სწორად, შეიძლება ითქვას, მოარგო იგი თავის გემოვნებას. ყოველივე ამის შედეგად, როგორც ამას მოწმობენ ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები, მოიშალა შეკავებისა და გაწონასწორების ისედაც სუსტი სისტემა, დასუსტდა პარლამენტი, პრეზიდენტმა კი გაიფართოვა უფლებამოსილებები და აღიჭურვა დამატებითი პასუხისმგებლობით.

მინისტრთა კაბინეტის დაფუძნებამ ვერ მოიტანა სასურველი ეფექტი, რაც თვალნათლივ გამოჩნდა პრემიერ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ. პრეზიდენტმა მიიღო იმის უფლება, რომ ერთპიროვნულად (პრემიერ-მინისტრის გვერდის ავლით) გადააყენოს თანამდებობიდან „ძალოვანი მინისტრები“, რამაც გარკვეული დისბალანსი გამოიწვია აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

ხშირი საკადრო გადაადგილებები კაბინეტში გახდა სააკაშვილის მმართველობის დამახასიათებელი ნიშანი. სამინისტროების რიცხვი და დასახელება მოკლე დროის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა, მოხდა შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების საეჭვო შერწყმა. შეიცვალა სამი თავდაცვის მინისტრი, უკვე მესამედ შეიცვალა ელჩი მოსკოვში. პრეზიდენტის რწმუნებულები პროვინციებში ასევე ძალზე ხშირად იცვლებიან, რაც მათ არ აძლევს საქმეების ნორმალურად გაძღოლის შესაძლებლობას.

2002-2003 წლებში, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს, სააკაშვილი მხარს უჭერდა თბილისის და სხვა ქალაქების მერების პირდაპირ არჩევას. პრეზიდენტის რანგში კი მან კარდინალურად შეიცვალა პოზიცია და დათანხმდა მხოლოდ ორსაფეხურიან სისტემას (საკრებულო ირჩევს მერს). რო-




გორც ჩანს, ქალაქის ხელმძღვანელის სახით ძლიერი და დამოუკიდებელი ფიგურის მიღების პერსპექტივა სააკაშვილსაც დიდად არ იზიდავს მისი წინამორბედივით — ედუარდ შევარდნაძისავით.

კიდევ ერთი მკვეთრი შემობრუნება გახდა პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების პრინციპი, რომელიც დიდად არ გამოირჩევა თავის დროზე პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ დადგენილი წესებისგან. კომისიის წევრებს ახლა დაამტკიცებს პრეზიდენტის ერთგული საპარლამენტო უმრავლესობა მას შემდეგ, რაც ამ ადამიანებს თვით პრეზიდენტი წარადგენს. არადა, სწორედ საარჩევნო კომისიის საქმიანობის ირგვლივ აგორებულმა სკანდალმა მისცა კიდეც საბოლოო ანგარიშით ბიძგი „ვარდების რევოლუციას“. ის უმრავლესობა, დაახლოებით სამი მეოთხედი, რომელსაც ფლობს სააკაშვილი საქართველოს პარლამენტში, ვერ უწყობს ხელს ქვეყანაში პოლიტიკური პლიურალიზმის და გამჭვირვალობის განმტკიცებას. პრეზიდენტის ნებისმიერ საპარლამენტო ინიციატივას პარლამენტი იწონებს, შეიძლება ითქვას, განხილვის გარეშე, რაც ხელს უწყობს მთავრობაში ექსპერიმენტატორობის, და არა რეფორმატორობის სულისკვეთების დამკვიდრებას.

მაგალითად, 2004 წლის შემოდგომაზე მიიღეს კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის 1,5 წლიდან 1 წლამდე შემცირების შესახებ, გაზაფხულზე კი ეს ვადა კვლავ გაზარდეს 1,5 წლამდე. საგადასახადო კოდექსმაც განიცადა ასეთი საოცარი ცვლილებები. იგი არსებითად შეიცვალა მიღებიდან ოთხი თვის შემდეგ.

ვოლუნტარიზმის, გამჭვირვალობისა და კარგად გათვლილი სტრატეგიის უქონლობის აპოთეოზი გახდა 2004 წლის ზაფხულის კამპანია სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონში. ძალოვანი სტრუქტურების მიერ კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გამიზნული ოპერაციის განხორციელებამ გამოიწვია დაძაბულობის საშიში ესკალაცია. ორივე მხარემ მოკლულების სახით რამდენიმე ათეული კაცი დაკარგა. გარდა ამისა, ქართველებმა დაკარგეს ნდობა ოსების თვალში, რომლის მოპოვებასაც არაერთი წლის განმავლობაში ცდილობდნენ. სააკაშვილის წარუმატებელმა ჩარევამ სამხრეთ ოსეთში გაართულა ურთიერთობა აფხაზეთთანაც. შესაძლოა, უკუშედეგს იწვევს იმის გამუდმებული ხაზგასმა, რომ საქართველოს სურს აღადგინოს კონტროლი ორ ჩამოშორებულ რეგიონზე.

თუმცა, ახალი ხელისუფლების არასაკმარის გამოცდილებასთან და კომპეტენტურობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის მიუხედავად, არ შეიძლება შეუმჩნეველი დაგვრჩეს ის, რომ სააკაშვილს გულწრფელად სურს ქვეყანა ამოიყვანოს პოლიტიკური უძრაობისა და კორუფციის ჭაობიდან, რომელშიც იგი ჩაეფლო შევარდნაძის მმართველობის წლებში.

ახალი პრეზიდენტი ცდილობს საკუთარი ღირსების გრძნობა დაუბრუნოს ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც თითქმის შეგუებულები იყვნენ არშემდგარი სახელმწიფოს სტატუსს.

განათლების სისტემის რეფორმა, რომელსაც სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა, მიზნად ისახავს იმას, რომ ქვეყნის მომავალი უკეთესი იყოს. ტემპს იკრებს რეფორმები არმიაში, რომლებიც ხორციელდება საქართველოს პარტნიორებისა და მოკავშირეების ხელშეწყობით. არის სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელების ცდა, თუმცა, ახალ ისტებლიშმენტში ყველას როდი მოსწონს დამოუკიდებელ მოსამართლეთა იდეა. ანტიკორუფციულმა ღონისძიებებმა, რომლებიც, ზოგჯერ უამრავ კითხვას ბადებენ, გავლენა მოახდინეს ბიუჯეტზე, რომელიც გაიზარდა საგადასახადო შემოსულობათა გადიდების ხარჯზე.

დაბოლოს, საქართველოს რიგითი მოქალაქეების ძირითადი იმედი ემყარება ქვეყნის გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატოში — დასავლელი პარტნიორები და მოკავშირეები მოსთხოვენ ქვეყნის ახალ ხელისუფლებას ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის სფეროებში, აგრეთვე, ევროპის საბჭოს, ნატოსა და ევროპის კავშირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

**ივლიანე ხაინდრავა,**
**პლურალიზმის ცენტრთან არსებული განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის სამხრეთ კავკასიის კვლევის პროგრამის დირექტორი.**

**კავკასიის საინფორმაციო ყოველკვირეული.**




ინფორმაცია

## ილია მეორემ სანგაჩალის ტერმინალი მოინახულა

**საქართველოს** პატრიარქს და აზერბაიჯანში საქართველოს ელჩს ზურაბ გუმბერიძეს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა ნათიგ ალიევმა სანგაჩალის ტერმინალის შექმნისა და ქვეყნის ნავთობმოპოვების ისტორია გააცნო.

ილია მეორესა და მის თანმხლებ პირებს უჩვენეს „საუკუნის კონტრაქტზე“ ხელმოწერის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმი; სანგაჩალის ტერმინალის ტერიტორიაზე ქართველ სტუმრებს უჩვენეს ის მოწყობილობა, საიდანაც იღებს სათავეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი.

## კოტე კემულარია ტერი დევისს შეხვდა



**იუსტიციის** მინისტრი კოტე კემულარია სტრასბურგში იმყოფება, სადაც ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ტერი დევისს შეხვდა.

მხარეებმა ევროსაბჭოს წინაშე საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი განიხილეს; კერძოდ, საუბარია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციიზე, რეგიონალურ და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიისა და განახლებული სოციალური ქარტიის რატიფიცირების საკითხებზე.

## სახელმწიფო მიწების პრივატიზაციის წინააღმდეგ

**მოძრაობა** „წინ, საქართველო“ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის პრივატიზაციის შესახებ კანონის მიღებას ეწინააღმდეგება.

„ვიდრე არ შემუშავდება ქვეყნის ეროვნული კონცეფცია, კანონის მიღება დაუშვებელია“, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობა „წინ, საქართველოს“ მთავარი კომიტეტის წევრმა მაია ნიკოლეიშვილმა.

მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის თემურ შაშიაშვილის თქმით, ისინი არ ეწინააღმდეგებიან ამ კანონის მიღებას, მაგრამ ვიდრე არ გადაწყდება დეგრადირებული მიწის რეაბილიტაციის საკითხი, არ იქნება მიღებული მიწის კოდექსი, არ შეიქმნება სოფლად ფერმერული მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო პირობები, კანონის მიღება დაუშვებელია.

„წინ, საქართველო“ ხელისუფლებას სთავაზობს, რომ პრობლემა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან ერთად დიალოგის გზით გადაწყდეს.

## შს სამინისტრო სვანეთს პროდუქტებით ეხმარება

**შინაგან** საქმეთა სამინისტრომ სვანეთში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას გაუგზავნა 10 ათასი კგ. პურის ფქვილი, 1000 კგ. შაქარი, მშრალი საკვები და 2 200 ლიტრი ხილის წვენი, — ეს ის პროდუქტებია, რომელსაც მესტიაში ჩაიტანენ.

შს სამინისტრო დახმარებას სხვა რეგიონებსაც ჰპირდება.

## სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს უმუშევრობა არ ემუქრებათ



**თბილისის** მთავრობა ქალაქში მოძრავი 3 200 მიკროავტობუსის მძღოლს პირობას აძლევს, რომ ე. წ. „მარშრუტკებზე“ შეზღუდვების დაწესების შემდეგ უმუშევარი არავინ დარჩება. მათ ალტერნატივის სახით ახლად შემოყვანილ ავტობუსებზე მუშაობას შესთავაზებენ. მძღოლებს იმ მიკროავტობუსებზეც შეეძლებათ მუშაობის გაგრძელება, რომლებიც ტენდერის შემდეგ სამარშრუტო ხაზს დაიკავებენ.

თბილისის პრემიერის თემურ ქურხულის თქმით, მიკროავტობუსები გარეუბნებსა და სანაპიროებზე გადანაწილდებიან.

მედია-ნიუსი.

საპატრულო პოლიცია

# სწორედ აქ გინდა ასი ყურიც და ასი თვალიც

***თებერვლიდან გორში საპატრულო პოლიცია მუშაობს. რამდენად ნაყოფიერად, ამის გასარკვევად ვესტუმრეთ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, შიდა ქართლის სამმართველოს უფროსს რამაზ ჩოჩიშვილს. კონფლიქტების ზონაში, ცხადია, მუშაობა ბევრი და დაძაბულია. სწორედ აქ გინდა ასი ყურიც და ასი თვალიც...***

**— გორის საპატრულო პოლიცია ადგილობრივი მცხოვრებლებით დაკომპლექტდა? რა ნიშნის მიხედვით მოხდა მათი შერჩევა და პატრულთა რა რაოდენობაა გორში?**



— ისე მოხდა, რომ გორის საპატრულო პოლიცია მხოლოდ შიდა ქართლის მცხოვრებლებით დაკომპლექტდა, მაგრამ წინასწარ არავის განუსაზღვრავს, რომ თანამშრომლები მაინცდამაინც ჩვენი რაიონიდან შერჩეულიყო. უბრალოდ ასე დაემთხვა. დანარჩენ ქალაქში (ხაშური, ქარელი, კასპი), სავარაუდოდ, შუა ზაფხულში დავიწყებთ მუშაობას. შერჩევას შსს ხელმძღვანელობს, სასწავლო ცენტრი ამზადებს საპატრულო სამსახურის მომავალ თანამშრომლებს, კონკურსი ჩვენ არ გვეხება. მსურველებს ცნობილი საზოგადო მოღვაწეები ამოწმებდნენ და საუკეთესოებს არჩევდნენ. გორში კონტინგენტით განსაზღვრულია 71 კაცი. აქედან 15 მანდილოსანია. 30 თანამშრომელს კიდევ ველოდებით, თუმცა როგორ განაწილდებიან, ჯერ არ ვიცით. მოქალაქის ასაკი, რომელსაც ჩვენთან მუშაობა სურს, 37-ს არ უნდა იყოს გადაცილებული, ხოლო პოლიციელისა — 45-ს. დამთავრებული უნდა ჰქონდეს საპატრულო კურსები. სასწავლო ტენდერგავლილი რეზერვშიც გვეყოლება დათხოვნის შემთხვევაში.

**— თქვენს რიგებში ყოფილი საგზაო პოლიციელებიც არიან. არ გეშინიათ, რომ „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი“ აღმოჩნდეს?**

— ერთი თუ ორი ყოფილი პოლიციელი გვყავს. ისინი პროფესიული თვალსაზრისით საჭირონიც არიან. სამორიგეოში გავანაწილეთ (მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტს ჯერჯერობით მოვარიდეთ). მეტი გამოცდილება აქვთ და პროფესიულ ცოდნას გაგვიზიარებენ. ზედამხედველობის მკაცრი მექანიზმები გვაქვს, მუდმივად ვამოწმებთ. და არა მხოლოდ მათ, სხვა თანამშრომლებსაც ხშირად ვუწყობთ გამოცდას პატიოსნებაზე.

**— საგზაო პოლიცია, რომელსაც ნდობა და ფუნქცია ჰქონდა დაკარგული, საპატრულო პოლიციამ შეცვალა. ფუნქციურადაც შეიცვალა რამე?**

— ჩემი აზრით, პარალელის გავლება არც შეიძლება. საპატრულო პოლიციის ფუნქციაში შედის პირველადი დახმარება და ხშირად სასწრაფო დახმარების შემთხვევაშიც მოქალაქეებს ჩვენთვის მოუმართავთ. ჩვენ ვართ ხალხის პოლიცია. საგზაო პოლიცია ერთ ადგილას იდგა, ფულს კრეფდა, ჩვენ კი მთელ ქალაქს ვუვლით, ყველა გაჭირვებულს ვშველით. პროფილაქტიკური ზედამხედველობის მიზნით გორი ხუთ ნაწილად გაიყო — კომბინატი, წმინდაწყალი, ვერხვები, ჭალა-სადგური და ცენტრი. პატრულს მუდმივად მეთვალყურეობენ ასმეთაური და ოცმეთაური.

**— უბნის რწმუნებული ქვეითმა პოლიციამ შეცვალა. ალბათ, ეს მხოლოდ სახელის შეცვლა არ იქნება...**

— რაიონები ჩვენს სამოქმედო პროფილში არ შედიან. არც ისაა განსაზღვრული, იქ როგორ ვიმუშავებთ, სავარაუდოდ, საკრებულოში იქნებიან ჩვენი წარმომადგენლები, რომლებიც კვირაში ორ-სამჯერ ჩამოვლენ (თუ, რა თქმა უნდა, საქმე ჩვენ გადაუდებელ ჩარევას არ მოითხოვს) და მოგვახსენებენ იქ შექმნილ პრობლემებზე.

**— როგორია თითოეული პატრულის სამუშაო რეჟიმი?**

— გვყავს სამი ოცეული, სამ დღეში ერთხელ მუშაობენ 24-საათიანი რეჟიმით. რვასაათიანი მუშაობის შემდეგ შეუძლიათ 1 საათი დაისვენონ. გვაქვს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები, სადაც თანამშრომლებს შეეძლებათ ამ ენის დაუფლება, რაღაც დონეზე მაინც, ფიზიკური დატვირთვები აქვთ სისტემატურად.

**— როგორია თქვენი ტექნიკური აღჭურვილობა და როდის აქვს თქვენს თანამშრომელს იარაღის გამოყენების უფლება?**




— გვყავს ექვსი „შკოდის“ და ერთი „ნივის“ ტიპის ავტომანქანა. გვაქვს რადიოკავშირის საუკეთესო საშუალება. სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია „ჯეოსელი“. გვაქვს ცეცხლსასროლი იარაღი, რეზინის ხელკეტები. კანონის მე-13 მუხლის თანახმად, იარაღის გამოყენების უფლება გვაქვს მხოლოდ აუცილებელი მოგერიების შემთხვევაში.

**— მოქალაქეთა მხრიდან რაიმე პრეტენზიები ხომ არ წამოსულა?**

— სერიოზული პრეტენზია არ ყოფილა. პატარ-პატარა რაღაცეები არის ყველგან და, ცხადია, არის ჩვენთანაც.

**— იქნებ ორიოდ ფაქტი დაგვისახელოთ თქვენი მუშაობიდან?**

— როგორ არა. კონტრაბანდული ტვირთის გადაზიდვისას დავაკავეთ როინ მჭედლიძე და როინ შაყულაშვილი, ქურდობის ფაქტზე შევიპყარით ვლადიმერ ნასიროვი და ლევან მურჯიკნელი, ავტომანქანის გატაცების ფაქტზე — რამაზ ბალამწარიშვილი და გიორგი ფადაკეროვი... ასეთი ფაქტები უამრავია, თანაც ყოველდღიურად.

**— თქვენც ღიმილით გეგებებათ მოსახლეობა?**

— ეგ ხალხს უნდა ჰკითხოთ. საკუთარ თავზე საუბარი უხერხულია. ისე, მალე ყველას დავარწმუნებთ ჩვენი საქმიანობის ეფექტურობაში. საამისოდ ყველა წინაპირობა უკვე შექმნილია.

**ესაუბრა**
**ნაზი გამგეხელი,**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.**

გვწერენ

# გაჭირვებულებს დაეხმარნენ

**საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის საგზაო კომიტეტმა მიიღო დებულება — ნაკლებად უზრუნველყოფილ და სოციალურად შეჭირვებულ რკინიგზელთა ოჯახების დახმარების თაობაზე.**

დახმარების პროგრამა ვრცელდება პროფკავშირის წევრ მომუშავე რკინიგზელებზე, მრავალშვილიან ოჯახებზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ რკინიგზელთა ოჯახებზე და სხვა.

ამ დღეებში სამტრედიელი რკინიგზელები ამ პროგრამის რეალიზაციის უშუალო მოწმენი გავხდით, როცა ნაკლებად უზრუნველყოფილ და სოციალურად გაჭირვებულ რკინიგზელებს ჩამოუტანეს საკვები პროდუქტები და სხვა პირველადი მოხმარების საქონელი. ჰუმანიტარული დახმარება პირადად გადასცა საქართველოს რკინიგზელთა კავშირის თავმჯდომარემ ნანა ბაღაშვილმა, ხოლო რკინიგზის სამტრედიის პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ ერმალო ვაშაკიძემ ამას თითოეულ დასახმარებელზე 35 ლარიც დაუმატა.

სამტრედიელი რკინიგზელები ყოველივე ამისთვის დიდ მადლობას იხდიან.

**რევაზ შამათავა,**
**სამტრედია.**



**ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №14**

# რა ელის თბილისის ისტორიულ უბნებს?

***სახელმწიფო მოხელეთა განუწყვეტელი მონაცვლეობა, სამინისტროების რეორგანიზაციები, ახალგაზრდა კადრების აუხსნელი ამბიციურობა ისევ მრავალ საფიქრალს აღძრავს კულტურის სფეროშიც. კერძოდ, როგორია სახელმწიფო პოლიტიკა კულტურაში?***

**არსებულ შეკითხვებზე ოფიციალური სტრუქტურები უსაზღვრო რაოდენობის ქაღალდებს, ანუ დოკუმენტაციათა დასტებს შემოგთავაზებენ... იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა სტრუქტურის თუ სახელმწიფო რგოლის ერთადერთი მოვალეობა ამ ზღვარდაუსრულებელი ფურცლების პერმანენტული თხზვაა და თაროებზე დაწყობა.**

**ვფიქრობთ, ფურცლომანიით ჩვენმა დროებამ საბჭოთა ეპოქასაც გაუსწრო და გადააჭარბა, ოღონდ მცირე ტერმინოლოგიური სახესხვაობით:**

მაშინ: „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს № ... დადგენილების მიღების შემდეგ **განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები** ქ. თბილისის ისტორიული ბირთვის რეკონსტრუქციისა და ადაპტაციის მიზნით".

ახლა: „თბილისის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მხატვრულ-ისტორიული ღირებულებების შენარჩუნების მიზნით..."

**და მაინც, რა ევოლუცია გავიარეთ სკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან — საქართველოს ეროვნული მთავრობის დადგენილების „ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო" ცნებებამდე, რა კონკრეტული საქმეები ჩაენაცვლა ერთმანეთს?**

**თბილისის ისტორიული ნაწილი, როგორც ცნებითი ღირებულება, უცვლელია, მაგრამ როგორია სახელმწიფოს დამოკიდებულება მისდამი?**

საქართველოს ახალი ხელისუფლების 2004 წლის № 68 დადგენილება: „ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის განაშენიანების რეგულირების დროებითი რეჟიმის ამოქმედების შესახებ", რასაც ხელს აწერს პრემიერ მინისტრი **ზურაბ ჟვანია,** ჯერ კიდევ 1985 წლის, ანუ საბჭოთა საქართველოს № 76 დადგენილებაში დამტკიცებულ დებულებებს ეყრდნობა... **და მაინც, რას ნიშნავს ახლა უკვე არა „საბჭოთა", არამედ „ეროვნულ" დადგენილებაში „ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ღონისძიებათა შემდგომი გაუმჯობესება"?**

ამ და სხვა შეკითხვებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს უფროსს ქალბატონ ირინა საბაშვილს მივმართეთ.





**ირინა საბაშვილი:** საბჭოთა პერიოდში შედგენილი დოკუმენტი იმ დროისთვის მისაღებ ჩარჩოშია შედგენილი. ეს, დღევანდელი დოკუმენტი კი განსაკუთრებულ პირობებშია შექმნილი და ზღუდავს იმ უბნებისთვის არადამახასიათებელი შენობა-ნაგებობების განთავსებას. ეს გულისხმობს ამორტიზირებული და არაღირებული ნაგებობების აღებასაც და შესაბამისად, იმ უბნებისთვის დამახასიათებელი შენობებით ჩანაცვლებას.

**— თუ შეიძლება განგვიმარტეთ, რას ნიშნავს „ისტორიული ნაწილის" სახელდება?**

— ეს არის ობიექტურობა, რომელიც მიგვითითებს, თუ როგორ ვითარდებოდა ქალაქი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ეტაპზე და რა მნიშვნელობას, ფასეულობას იძენდა ქალაქის განვითარების მიმართულებით. მას აქვს ისტორიული კონტექსტი, მხატვრული კონტექსტი და განაშენიანების ფორმები.

**— უკვე არსებულ ნუსხას, შესაძლებელია, რომ ახალი ობიექტებიც დაემატოს?**

— შესაძლოა. სულაც, სტალინის პერიოდის არქიტექტურა, თუნდაც თერთმეტსართულიანი სახლი. იმ პერიოდის განაშენიანება მნიშვნელოვანია თავისი სიმყარით და შენობის ტიპითაც. მე მას არ ვაფასებ, როგორც მხატვრულ ნიმუშს, მაგრამ ეს ერთი კონკრეტული პერიოდის სახეა.

**— კონკრეტული პერიოდის სახეა „ხრუშჩოვკებიც", მაგრამ ხომ შეუძლებელია ისინიც ისტორიულ ნაწილად იქცნენ?**

**(იხ. მე-6 გვ.)**

# ქართველი ...

1993 წლის 5 მარტს ყოფილმა პოლიტპატიმარმა გივი აბრამიშვილმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოდან ასეთი პასუხი მიიღო:

„თქვენი განცხადების საფუძველზე ჩვენს მიერ გამოთხოვილ იქნა სისხლის სამართლის საქმე გ. გოგიშვილს, ნ. იაშვილის და სხვათა მიმართ საქართველოს ინფორმაციის და დაზვერვის ბიუროდან, საიდანაც გვაცნობეს, რომ ქ. თბილისში 1991-1992 წ.წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით, ყოფილი უშიშროების სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში ხანძრის შედეგად აღნიშნული საქმე მთლიანად განადგურდა სხვა საქმეებთან ერთად, რის გამოც თქვენს თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. ციფიანი."

აქ დასახელებული „1991-1992 წ.წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენები" ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი გახლავთ და იმ დროს განადგურებული სუკის არქივების თემაც დღემდე ბუნდოვანებით და გაურკვევლობით არის მოსილი.

დამწვარ-განადგურებულად მიჩნეული რეპრესირებულ მწერალთა საგამოძიებო საქმეებიც, როგორც ამბობენ, სავარაუდოა, რომ ვიღაცას აქვს გატანილი და გადამალული.

უშიშროების სამსახურის მიერ რამდენიმე თვის წინათ ხმაურით და ტელეაჟიოტაჟით დაწყებული გამოძიება მოულოდნელად შეწყდა. ჩანს, ამ მნიშვნელოვანი არქივების ბედი სინამდვილეში აღარავისთვისაა საინტერესო.

იქნებ არა მარტო 30-იანი წლების, არამედ უახლოესი წარსულის ამ ტიპის დოკუმენტების არსებობაც (თუნდაც ლუსტრაციის კანონის მოლოდინში), მავანთათვის სასურველი ნამდვილად არ გახლავთ და „განადგურება-დაწვა-დაფერფვლის" არგუმენტით მთელი საუკუნის საშინელებათა და ცოდვათა ვუალიზებაა შესაძლებელი.

ამიტომ ალბათ, არც უზენაესი სასამართლოს ზემოთხსენებული წერილია იმის მტკიცებულება, რომ პოლიტპატიმარ გივი აბრამიშვილისთვის საინტერესო დოკუმენტები ნამდვილად აღარ არსებობს.

ვის საქმეს ეძებდა და იკვლევდა დიდი რუდუნებით ბატონი გივი აბრამიშვილი? წარსულის რომელი ფაქტების გამოხმობა სურდა? რისი დადგენა აინტერესებდა ღრმა მოხუცებულობაშიც, სიკვდილამდე...

# მათ აღარ ჰქონდათ მომავალი...

ფარული ორგანიზაცია სახელდებით: „საქართველოს ახალგაზრდობის სულისჩამდგმელები, საბჭოთა წყობის წინააღმდეგ" შინსახკომმა 1941 წელს „აღმოაჩინა" და სამი წევრი: შოთა გოგიშვილი, გიორგი დუმბაძე და ნოდარ იაშვილი დააპატიმრა.

ამავე წელს **გივი აბრამიშვილიც** აიყვანეს. 13 მაისს, მთელი ღამე, დილის 8 საათამდე აწამებდნენ...

**მოგონებიდან: „საგამომძიებლო ოთახში შემაგდეს. შესვლისთანავე სახეში მთხლიშეს. მაშინ კარგ ჯანზე ვიყავი, 24 წელში გადამდგარი. დავავლე სკამს ხელი, მაგრამ ამაოდ, თურმე დაჭედილი ყოფილა იატაკზე. ოთახში ერთი გამომძიებელი და ოთხი „პალაჩი" გაჩნდა. წარმომიდგინეს მუყაოზე დაკრული ჩვიდმეტი სურათი და მითხრეს: „აი, შენი მეგობრები, შენი დედა, ასე და ისეო"...**

**მათ ყველას ვიცნობდი, მაგრამ არ გავამხილე...**

**არ მინდა ყველაფერი მოვიგონო იქ ჩატარებული ხუთთვიანი გამოძიების შესახებ...**

**ის კი ფაქტია, ჩემს შემდეგ იმ ჯგუფიდან აღარავინ დაუპატიმრებიათ. იმ 17 ადამიანიდან, რომლებიც სურათზე იყვნენ, რომელიმეზე რომ მეთქვა: უბრალოდ ვიცნობ მეთქი, იმღამესვე მოათრევდნენ იქ, საწყლებს...**

**გივი აბრამიშვილმა** არ დაასახელა და ამით რეპრესიებს გადაარჩინა მაშინ იმ საბედისწერო სურათზე აღბეჭდილი, დღეს ჩვენთვის ცნობილი ადამიანები: **მარიკა ლორთქიფანიძე, ნუგეშა მაყაშვილი, ვლადიმერ (ვოვა) გაბაშვილი, ფარნაოზ იმედაშვილი, აკაკი კაცაძე, ვახტანგ მოდებაძე, გიგი მოსეშვილი, გიორგი ცაბაძე, ოთარ ჯაფარიძე.**

რაც შეეხება გივი აბრამიშვილს და უკვე დაპატიმრებულ მის სამ მეგობარს, ისინი ორთაჭალის ციხეში ჩაამწყვდიეს, 42-ე საკანში, 370 „დამნაშავესთან" ერთად.

**მოგონებიდან: „გაგვასამართლეს, როგორც ხალხის მტრები. სასაცილო იყო სამდღიანი კარებჩაკეტილი სასამართლო პროცესი. მე მარგუნეს რვაწლიანი გადასახლება. ჩვენს სახელმწიფო ბრალმდებელს — პროკურორს სამი დღის განმავლობაში, პროცესზე, გეფიცებით, სკამზე ჩამოყვინთებულს ეძინა და როცა სიტყვა მისცეს, მან ჩვენი დახვრეტა მოითხოვა... ამ საქმეში სრულიად გაურკვეველმა კაცმა.**

**ორი წელი და ცხრა თვე ციხის ერთ კამერაში გავატარე, ბევრი რამ ვნახე და ბევრიც ვისწავლე. მაშინ გაცხარებული ომი მძინვარებდა. ბევრჯერ დავწერე, ფრონტზე გავეყვანეთ, მაგრამ ამაოდ.**

**დიახ, ბევრი რამ ვისწავლე და ვნახე საკანში... მათ შორის არა ერთი და ორი უღირსი ქართველი დამრჩა მეხსიერებაში. ერთი, ოზურგეთის ყოფილი ქალაქის თავი, ოთხი წლის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს. მას რაღაც გზებით ჰქონდა მოგროვილი პარკით შაქარი და ექვსი ყუთი გაუხსნელი, პაპიროსი „რეკორდი"... ეს ყველაფერი სახლში თან წაიღო, როცა ჩვენ თამბაქოს უქონლობით ვგიჟდებოდით... არადა ქართველობაზე დებდა თავს...**

**ჩვენთან ყოველდღიურად ფრონტიდან მოსული ნაომარი ხალხი შემოჰყავდათ. ერთ მათგანს, მშიერ ოფიცერს, აქაურმა „გმირმა" ქართველმა ხალათი გახადა, ერთ ნაჭერ პურში გაუცვალა. თვითონ ჩაიცვა და მე მაჩვენა: მიხდება თუ არაო. რაც მე იმას დღე ვაყარე, ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან. ხალათი ოფიცერს დავუბრუნე და ხუთი ნაჭერი პურიც მივეცი. ავის მქნელს „პარაშკასთან" მივუჩინე ბინა.**

**რა არ მინახავს ამ საკანში... ფრონტიდან მოყვანილი ორი მებრძოლი, ერთად, გვერდიგვერდ მსხდომნი ოთხასგრამიან პურის ნაჭერს იყოფდა ძაფით. რომ გაიყვეს და ჭამა დაიწყეს, ერთ წუთში ორივენი გარდაიცვალნენ შიმშილისგან ღონემიხდილნი... ისე რომ, ჭამაც ვერ მოასწრეს...**

**ყველაფერზე მწარე ყოფილა შიმშილობა... ამ მიზეზით ჩვენი ციხიდან, ყოველ ცისმარე ოთხ-ოთხი „სუდაბეკერი" ივსებოდა მკვდრებით. .... ჰყრიდნენ მანქანაში და გაჰქონდათ. ბევრი მათგანი ომში დაღლილი ახალგაზრდები იყვნენ..."**

*და ასე, საბოლოოდ ციხის საკანში იყრიდნენ თავს: ფრონტზე, სამშობლოს დასაცავად, გმირული სულისკვეთებით წასულიც და პარალელურად თბილისში, ვერის ბაღში, საქართველოს ბედზე გულმხურვალედ მოსაუბრე ახალგაზრდები...*

*ისინი, ორივენი, ხალხის და სამშობლოს მტრებად ცხადდებოდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ აღარ ჰქონდათ მომავალი...*

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში).**

**სურათზე: გივი აბრამიშვილი.**



# რატომ მოსწონთ უცხოელებს საქართველო

## ეროვნული არასრულფასოვნების გრძნობის სინდრომი

ქართველ მეგობრებს

საქართველო — ძველი კოლხეთი, დასავლელთა უმრავლესობისათვის ის საარაკო ქვეყანა იყო, რომელიც სადღაც, **კავკასიის მხარეს მდებარეობს და რომელსაც საოცარი სილამაზის ქალები ჰყავს.**

დღეს ჩვენამდე აღწევს თქვენი გაშმაგებული წინააღმდეგობისა და უზენაესი გმირობის ექო. ვიცით, როგორ განადგურებდნენ რიცხობრივი უპირატესობის გამო.

**თქვენ დამარცხდით, მაგრამ არ დამორჩილდით.** მოსკოველი სადისტები, სიკვდილის ეს მოციქულნი ყველაფერს კადრულობენ: მორალურ და ფიზიკურ წამებებს, მაგრამ სიკვდილის შიში, იმის შეგრძნება, რომ თქვენ დამარცხებული ხართ, გულს არ გიტეხდათ და ჩქარა აჯანყებამაც იფეთქა.

ეს ამბოხება ჩახშობილია სისხლსა და რეპრესიებში. მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენს საზღვრებს გარეთ უკვე გიცნობენ, **ყველაფერი იციან და აღელვებულნი დიდი გულისყურით გადევნებენ თვალს. სამშობლოსა და რელიგიისათვის იტანჯებით და იღუპებით! არა, თქვენ ჩვენთვის უცხოელები აღარა ხართ: ჩვენი ქრისტიანი ძმები ხართ და თქვენი ამაღლებული საქართველო, ისევე როგორც ადრეულ ხანებში, ქრისტიანული ცივილიზაციის მეწინავე ციტადელია.**

თუკი ეს აზრი ოდნავ მაინც მოაშუშებს თქვენს ტკივილებსა და ძაძებს, იცოდეთ, რომ აქ, დასავლეთ ევროპაში, ბევრი გული თქვენ გულებთან ერთად ფეთქს. დასავლეთ ევროპა არა მარტო თანაგიგრძნობთ გაჭირვებაში, არამედ თქვენს ამბავს მთელ მსოფლიოს გააგებინებს.

უკიდურესი ტრადიციონალისტი ერის შვილებმა, თქვენ ხელშეუხებლად შეინარჩუნეთ თქვენი **წინაპრების ვაჟკაცური სისხლი.** მიუხედავად უამრავი შემოსევისა, აოხრებისა და აწიოკებისა, ტოლერანტულნი და ამაღლებულნი დარჩით. არ დაკარგეთ თქვენი ჯიშის ორი დამახასიათებელი თვისება: **ულევი კარგი გუნება და უაღრესად განვითარებული არტისტიზმის შეგრძნება.**

საქართველოს ერთ მხარეში, ხევსურეთში ჯერ კიდევ ატარებენ ჯაჭვის პერანგს, იმ წინაპრების სამოსს, ჯვაროსნულ ლაშქრობებში რომ იღებდნენ მონაწილეობას. ამაში უფრო მეტი რამ დევს, ვიდრე უბრალო ჩვევა. ეს არის სიმბოლო, სიმბოლო იმისა, რომ თქვენ გულებს შემორჩათ ძველი დროის რაინდული სული, თავგანწირვის იგივე შეგრძნება და მოყვასის სიყვარული.

სწორედ ეს დასწერეს თავისი სისხლით კოჯრის მთის ფერდებზე, ტაბახმელას ტრაშეებში 1921 წლის თებერვალში თქვენი სამხედრო სკოლის კურსანტებმა მაშინ, როცა წითელი ურდოები თბილისს უტევდნენ.

ტრადიციონალისტებო, **შუა საუკუნეების დროიდან თქვენ რაინდთა ერად დარჩით!**

ყველა ჩვენთაგანში თქვენ სიყვარულსა და თაყვანისცემას იწვევთ!

**რემონ დიუგე.**
**პარიზი, 1926 წელი.**

**რემონ დიუგეს ეს წერილი დაიბეჭდა 1927 წლის მაისში საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობის ორგანოს გაზეთში „თეთრი გიორგი" № 4.**



# რა ელის თბილისის ისტორიულ უბნებს?

(მეხუთე გვერდიდან)

– მათ ამოცანაც სხვა ჰქონდათ. სახელმწიფოს უნდა დაეკმაყოფილებინა ყველა მოქალაქე. ხრუშჩოვის პერიოდის განაშენიანებებში (დიღმის მასივი, ვაჟა-ფშაველას კვარტალები) ინფრასტრუქტურა – ბაღები, პოლიკლინიკები, სკოლები, უყურადღებოდ არ იყო დარჩენილი, თუმცა ის შენობები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

80-იან წლებში აშენებული გლდანი, ვარკეთილი და სხვ. პრაქტიკული თავლსაზრისით აშენებული საცხოვრებელი სახლებია, „საძილე“ კორპუსებია, სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე. ეს ყველაფერი მხოლოდ ეკონომიკურ გათვლებზე იყო დამოკიდებული და ისტორიულ ღირებულებებს ვერასოდეს მოიპოვებს.

**– რა გაკეთდა მათ მერე საეტაპოდ მნიშვნელოვანი?**

– დაემატა საქართველოს კანონი მემკვიდრეობის შესახებ.

**– ესე იგი, დამოკიდებულება გარკვეულწილად შეიცვალა?**

– დამოკიდებულება შეიცვალა ქონების მიმართ– თუ ის ძველი დოკუმენტი იქმნებოდა ქონების ერთადერთი მეპატრონის – სახელმწიფოს ხელში, ახალ დოკუმენტში გათვალისწინებულია კერძო მესაკუთრეც, სახელმწიფოც და მუნიციპალიტეტიც. ახალ კანონში არის პუნქტები მობინადრეთა ვალდებულებებზე ძეგლების მიმართ.

**– საბინაო ფონდი პრივატიზირებულია დაზიანებულ ძეგლებში. იქ მცხოვრები ადამიანები, ძირითადად, სოციალურად დაუცველნი არიან. როგორ შეძლებენ ისინი ძეგლების მოვლას ან შეკეთებას? ხომ არ არის ეს ოდენ დოკუმენტი დოკუმენტისთვის?**

– აქ ორი ასპექტი ეჯახება ერთმანეთს: მემკვიდრეობის გადარჩენის აუცილებლობა და სოციალური საკითხები. სოციალური ფონი, დღევანდელი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, წინ გამოდის. მოსახლე ვერ უვლის ვერც ინდივიდუალურ და ვერც საერთო ქონებას და მოლოდინშია, რომ მოვა ვიღაც, ვინც ამ ყველაფერს გააკეთებს. თუნდაც კერძო ინვესტორი, რომელიც სოციალური პირობების გაუმჯობესებას ჰპირდება...

როცა მოქალაქეს ეუბნები, რომ ისტორიულ ნაწილში ვერ გაგაჭრევინებო კარებს ფანჯრის მაგივრად, მას უკვირს. მას სურს გახსნას მაღაზია და ლუკმაპური იშოვოს. ჩვენ, ანუ სახელმწიფო სტრუქტურა, ვეუბნებით უარს, სანაცვლოდ კი არაფერს ვთავაზობთ. აქ, ბუნებრივია, კონსენსუსი ვერ შედგება.

იგივე მოსახლე, რომელიც ითხოვს, სახელმწიფომ შეაკეთოს მისივე პრივატიზირებული სახლი, არ ფიქრობს, ელემენტარულად, თუნდაც, ქოლობი შეცვალოს... **კერძო საკუთრება გარდა იმისა, რომ უფლებაა, მოვალეობაც არის.**

**– თბილისის ძველ უბნებში კატასტროფულად ინგრევა სახლები...**

– სამწუხაროდ, მიწისძვრებმაც და წყალდიდობებმაც კარგად დაგვანახეს რა მდგომარეობაშია ჩვენი ქალაქი. სახლების ამორტიზაციის, ცუდ მდგომარეობაში ყოფნის მიზეზი ისიც არის, რომ ძალიან დიდი ხანია არ ჩატარებულა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაც ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული.

მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი ამ შენობების ნგრევისა არის მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების მოშლა. კანალიზაცია, სანიაღვრე სისტემა... მისახედია მიწისქვეშა წყლების ზემოქმედებაც.

ეს ყველაფერი ათასჯერაა შესწავლილი. დაბეჭდილია რეკომენდაციები, მაგრამ...

ნგრევის პროცესს ხელს უწყობს უკანონო მიშენებები და დაშენებები. ასეთი სამშენებლო ჩარევა იწვევს, როგორც არსებულის, ისე მიშენებულის ამორტიზირებას...

2004 წლის დადგენილებაში არის მცდელობა, შეაჩერონ ეს ტენდენციები...

ისტორიული მემკვიდრეობის გადარჩენაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ უნდა ერეოდეს. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი მხოლოდ პროფესიონალების დონეზე უნდა გადაწყდეს. წლები გადის. დრო ისედაც ბევრ რამეს ცვლის. ადრე თუ 700 ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი იყო აღნუსხული, ახლა 1500-ია.

**– ქალბატონო ირინა, ამ ძალიან მძიმე ფონზე არის რაიმე იმედისმომცემი?**

– არის ის, რომ დღეს სახელმწიფომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარა.

**– ისევ მარტო ფურცელზე?**

– არამარტო ფურცელზე. ტენდერი უკვე ჩატარებულია და წლის ბოლოს პოზიტიური შედეგი გვექნება. უკვე დაწყებულია ქალაქის ისტორიული ნაწილის დაფარვითი ინვენტარიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ დაცული ზონები და ძეგლები მთლიანად და ზუსტად იქნება აღწერილი. პარალელურად ტარდება ტენდერი აღდგენით პროცესებზე, შერჩეული იქნება გარკვეული ოდენობის ძეგლები, რაზეც კონკრეტულ სამუშაოებს ჩაატარებენ...



**კონკრეტიზაცია, ალბათ, ის აუცილებლობაა, რაც დღეს პრობლემებით დაღლილ თბილისელებს სჭირდებათ, ანუ გაიგონ, როდის დაიწყება დაპირებათა აღსრულება... თუმცა ზოგჯერ ისიც კი გაუგებარია, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის დაპირება...**

**აღადგენს და შეინარჩუნებს ჩვენი ქალაქი თავის ნამდვილ სახეს?**

**იმედია, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი ამ საკითხებში ეტაპობრივად გაგვარკვევს.**

# «უწყინარი თავშექცევის ნიღბით»

## პლატონი მათთვის, ვინც დღეს ასე უბერავს...

**ის-ის იყო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში უნდა შევსულიყავი სპორტის სასახლის გვერდით, რომ იქვე მდგარი შენობიდან შეწყობილი სიმღერა და ფორტეპიანოს ბობოქარი რიტმები შემომესმა: „ზოგი ასე უბერავს, უბერავს, ზოგიც ისე უბერავს, უბერავს, ეს სულ ასე უბერავს, უბერავს!..“**

მოკლედ, უბერავდნენ, მაგრამ არ იკითხავთ – ვინ? **პედაგოგ-აღმზრდელი ქალის ომახიანი და ათობით ბავშვის წკრიალა ხმა ისმოდა. ეს საბავშვო ბაღი იყო,** საბავშვო ბაღში „უბერავდნენ“, აღმზრდელი „აბერვინებდა“ აღსაზრდელებს. აბა, „ვარდს გაეფურჩქნა კოკორიო“ – ხომ არ ამღერებდა? ერთი სიტყვით, ეს „დაუბერე“ – სიმღერა რომ გავიგონე, გულზე ცეცხლი მომედო და ვიფიქრე: იმ ბაღში შევიჭრები, აღმზრდელს გამოვიხმობ და ყმაწვილთა ყურის ამგვარ გახედნისთვის ყურს ავუწევ-მეთქი. გადავრჩი – საბავშვო ბაღი ისეთ მესერში იჯდა, რომ დაბნეულმა კარი ვერ მოვუძებნე. მთელი დღე გულამღვრეული დავდიოდი, რაღა „მეწიგნებოდა“ და „მებიბლიოთეკებოდა“. **ჯერ ხომ ახალგაზრდებს რაგვარ სიმღერებს ვასმენინებთ, რაგვარ ფილმებსა და სიახლეებს ვთავაზობთ ჩვენი ბედოვლათი ტელევიზიების გადამკიდენი და, ახლა საბავშვო ბაღებშიც შევიჭერით თითისტოლა ბალღებთან.**

მერედა, არის კი ვინმე განმკითხავი?

და საერთოდაც, ვხვდებით, რა დავმართეს, თუ დავიმართეთ ამდენი მდაბიო მუსიკით, ფილმით, მხატვრობით, სექსის დემონსტრირებით, ძალადობის ქადაგებით, ცხოვრების „ახალი წესის“ დამკვიდრებით, ცრუ დემოკრატიით, საგამოცდო ტესტების ბრიყვული და უზნეო ტესტების ზუთხვით. რაზეც კი ხელი მიუწვდებოდათ, ყველაფერი ზედ მიაყარეს ჩვენს პირდალებულ „ხბოს აღტაცებას“. ბრჭყვიალა ქაღალდებში გახვეულ საწამლავს ნაზუქივით შევექეცით.

იტყვი ამას და, ძველი დროების ობი მოგდებიაო, – გეტყვიან და ისე მოგდგებიან, შეიძლება საკუთარ სიმართლეში დაეჭვდე. დიდმა ილიამ ამგვარ თანამედროვეებს, „ახლებსა“ და „რეფორმატორებს“, **საპატარძლოდ მორთული დედაბრები** შეარქვა, მაგრამ რად გინდა, განა კი ილიას გაგონება სურთ იმათ, ვის ხელშიც დღეს ჩვენი კულტურა, განათლება და იდეოლოგიაა? ან იმაზე მეტი მკრეხელობა რა უნდა იყოს, ანტიეროვნულ, ანტიილიასეულ კანონს **ილიასივე სახელით რომ შენიღბავ.**

ვისაც შოთა, ილია, ვაჟა, აკაკი ვერ გაუგია და თვალში არ მოსდის, ვისაც ილია არ უნდა, მაინცდამაინც პლატონს რატომ მოუსმენს?

და მაინც, იმ მოძალადე „რეფორმატორთა“ გასაგონად, პლატონის **„სახელმწიფოდან“** ერთ ფრაგმენტს შემოგთავაზებთ, ნიშნად იმისა, რომ არათუ მამების თაობის, არამედ 25 საუკუნის წინანდელი ნააზრევიც შეიძლება თანამედროვე იყოს.

ერთსაც შევნიშნავ: ეს არის **სოკრატესა** და **ადამანტეს** დიალოგი, რომელშიც „მუსიკაც“ და „გიმნასტიკაც“ არა კონკრეტული, არამედ ფართო გაგებით, ანუ არაერთმნიშვნელოვნადაა მოტანილი.

**გელა ქოქიაშვილი.**

*სახელმწიფოს მცველებს ფხიზლად უნდა ეჭიროთ თვალი, რათა სწავლა-განათლებას, მათდა შეუმჩნევლად, ხრწნილება არ შეეპაროს; უწინარეს ყოვლისა კი, მათი ვალია მუსიკურსა და გიმნასტიკურ ხელოვნებაში წესრიგის დამრღვევ სიახლეთა შემოჭრისგან დაიცვან სახელმწიფო. როცა ამბობენ: „კაცთა სასმენელს ყველაზე მეტად ატკბობს*

**ახალი საგალობელი,**

**აედებისგან შეთხზული ბოლოს“,**

**– ყველაზე მეტად იმას უნდა ვუფრთხოდეთ, რომ შეიძლება იფიქრონ, თითქოს აქ პოეტი სიმღერების ახალ შინაარსს კი არ გულისხმობდეს, არამედ ახალ სასიმღერო კილოს და სწორედ ეს მიიჩნიონ მოსაწონად. მაგრამ, ეს სულაც არაა მოსაწონი, და არც ზემოთ მოტანილი ლექსი უნდა გვესმოდეს ამნაირად. ყოველი საშუალებით უნდა ვერიდოთ მუსიკალური ხელოვნების ისეთი ახალი სახის შემოტანას, რამაც შეიძლება ყველაფერი აამღვრიოს. აკი დამონი ამტკიცებს და მეც მჯერა მისი, რომ მუსიკალური ხელოვნების ყოველნაირი ცვლილება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს კანონთა შეცვლას იწვევს. როგორც ჩანს, ჩვენი მცველები სწორედ აქ – მუსიკალური ხელოვნების დარგში დააწესებენ თავიანთ სათვალთვალო ადგილს.**

**– მართლაც, ყველაზე ადვილად და შეუმჩნევლად აქედან მოიპარება კანონიერების რღვევა.**

**– დიახ, უწყინარი თავშექცევის ნიღბით.**

**– და მართლაც, კანონიერების რღვევას ის ზიანი მოსდევდეს შედეგად, რაც ნელ-ნელა იჩენს თავს, ის ჯერ ზნე-ჩვეულებათა გაუკუღმართებაში ვლინდება, საიდანაც თანდათანობით მოიცავს ყველაფერს, მოქალაქეთა საქმიან ურთიერთობებს, თვით სამართალს და სახელმწიფო მმართველობის საფუძვლებსაც. ასე რომ, უკიდურესი აღვირახსნილობის სათავე ხდება სოკრატე, და თავდაყირა აყენებს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს.**



**თვითონვე იცავენ წესრიგს და მუსიკალური ხელოვნების წყალობით ეზვევიან კანონებისადმი პატივისცემას, დანარჩენი ბავშვებისგან განსხვავებით, ეს ჩვევა თანდათანობით ფესვს იდგამს, იზრდება და მტკიცდება მათში, ასე რომ, შეუძლია ყველაფერი გამოასწოროს, თვით გაუკუღმართებული სახელმწიფოს წყობილებაც კი.**

**– მართალს ბრძანებ.**

**– ისინი თვით იმ წესებსაც კი დაადგენენ, რაც წვრილმანებად მიაჩნია ხალხს, და რაც მთლიანად დაივიწყეს მათმა წინამორბედებმა.**

**– მაინც რა წესებს?**



**– მოგახსენებ: უმცროსები უნდა დუმდნენ უფროსების წინაშე. ფეხზე ადგომით ეგებებოდნენ და ადგილს უთმობდნენ მათ, პატივს მიაგებდნენ მშობლებს; ამას მოსდევს ყველაფერი, რაც გარეგნობას ეხება: ვარცხნილობა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა მისთანანი, ან იქნებ არ მეთანხმები?**

**– რასაკვირველია, გეთანხმები.**

**– მაგრამ არა მგონია, საჭირო იყოს ყოველივე ამის დაკანონება: არსად ეს არა სწერია და, ეგეც არ იყოს, წვრილობითაც რომ ჩამოვაყალიბოთ, ამ წესებს დიდი დღე მაინც არ უწერია.**



– ვითომ მართლა ასეა საქმე?

– ჩემი აზრით, სწორედ ასეა.

– მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვების თამაში რომ თამაშია, თვით ისიც კი დასაბამითვე უნდა დავუქვემდებაროთ წესიერებას, რადგან თუ თამაშისას არავითარი წესრიგი არაა დაცული და ბავშვებიც უწესოდ იქცევიან, შეუძლებელია ისინი სამართლიან ადამიანებად აღიზარდონ.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ ბავშვები თამაშისას

– ვითომ რატომაო?

– რატომ და იმიტომ, ადამანტე, რომ ვინც რანაირად აღუზრდიათ, იმნაირივე იქნება, მთელი მისი ცხოვრების გზაც...

**პლატონი „სახელმწიფო“**

თარგმნა **ბაჩანა ბრეგვაძემ.**

სურათებზე: სერიიდან „ჩვენი ბავშვები“.

ლევან ლომაძის ფოტო.

***საპატრიარქოს რადიოში გამოსვლისას საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სწორედ ასეთი „უწყინარი თავშექცევის მიზნით“, ნახევრად გაშიშვლებული მოცეკვავე და მომღერალი ნორჩები ახსენა და დასძინა, „მეცოდებიან ეს საწყალი ბავშვები“...***

***ვულგარიზმიც ხომ ერთგვარი ძალადობაა პატარების სულზე, რისი შედეგებიც მთელი ცხოვრების გზაზე გაჰყვებათ, ანუ, როგორც პლატონი ბრძანებს: „იმნაირივე იქნება მთელი მისი ცხოვრების გზაც“...***

# ირაკლი ფარჯიანის გამოფენა «TMS»-ში

## და კულუარული საუბრები უშიშროების ყოფილი

მხატვრის სიცოცხლეს მისი შედევრები აგ[illegible] ბი ავ[illegible] გალერეა „TMS“-ში ირაკლი ფარჯიანის არაორდინარული გრაფიკა გამოიფინა, ანუ, ის უცნაური მხატვრული ესთეტიკა, რაც საზოგადოებრიობისთვის ნაკლებად ნაცნობი შეიქმნა და უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის ვახტანგ ქუთათელაძის კერძო კოლექციამ შემოინახა.

ეს სიმბოლური კომპოზიციები თავისთავადი ორიგინალობით შემოსილი ნახატებია, რომლებიც დროსა და სივრცეში რაღაც ამოუცნობი ძალმოსილებით დამკვიდრდა... სხვადასხვა პერიოდში დიდმა ხელოვანმა შექმნა აქ წარმოდგენილი ექსპონატები: **„ნიუ“, „ქალი წიგნით“, „წითელი ოთახი“, „სამოთხეში შესვლა“, „ოქროსფერი ყვავილები“, „მუსიკალური კომპოზიცია“, „საიდუმლო სერობა“, „ნავების კომპოზიცია“...** ანუ, ის უცნაური და შეუდარებლად მისეული ხელწერა, რამაც გალერეაში გამეფებული სიჩუმე განაპირობა. აქ წარმოქმნილი ჯიუტი დუმილი მოულოდნელად, რამდენიმე დამთვალიერებელმა დაარღვია: **„გახსოვს, როგორ იქმნებოდა ეს ტილოები?.. შეხედე, როგორ ჰგავს ეს ნახატები ირაკლის ცოცხალ სულს.**



**მისი ხელოვნება ისეთივე გულწრფელი და ემოციურია, როგორიც თავად მხატვარი იყო...“** ასე საუბრობდნენ იმ არაჩვეულებრივ მხატვარზე, რომელიც 41 წლის ასაკში გადავიდა საუკუნო სასუფეველში...





„22 მაისს ირაკლის 55 წელი შეუსრულდა და ამიტომაც, ეს საიუბილეო თარიღი გადავწყვიტე, ამ ექსპოზიციით აღმენიშნა. ჩემი ინიციატივის განხორციელებისთვის სიამოვნებით დამთანხმდა ვახტანგ ქუთათელაძის ოჯახი. ამ ოჯახთან ირაკლი დაახლოებული იყო და სწორედ მათ კერძო კოლექციაში ინახება ჩემი მეუღლის ის ნამუშევრები, რომლებიც ახლა გალერეაში გამოიფინა. აქედან რამდენიმე ნამუშევარი ადრეც იყო ექსპონირებული – 2000 წელს ირაკლის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე. საინტერესოა ის, რომ როცა ირაკლის ნამუშევრების სრულ კატალოგიზაციაზე ვმუშაობდი, ეს ტილოები ჩემთვის ხელახალ აღმოჩენად შეიქნა, იმის გათვალისწინებით, რომ სურათების უმრავლესობა გაბნეულია და ბევრი საზღვარგარეთაც კი, გატანილი. თქვენ წარმოიდგინეთ, არის ფერწერული ტილოების გარკვეული ნაწილი, რომელიც ოჯახებიდან, ალბათ, ეკონომიური ხელმოკლეობის გამო, რამდენჯერმე გაიყიდა და იმ რთულ პერიოდში ირაკლის ნამუშევრებმა ხალხი გადაარჩინა. მოსაგონარი სამკაოდ ბევრია ამ ნახატებთან დაკავშირებით, მაგრამ ის ტილოები, რომლებსაც ჩემი მეუღლე თავისი შემოქმედებითი წარმატების ნიმუშად მიიჩნევდა, ვფიქრობ, მალევე გამოიფინება“, – ამბობს ქალბატონი ასმათ ფარჯიანი.

როგორც ამბობენ, ირაკლი ფარჯიანი თავისი მხატვრული სამყაროს ხატს მთელი ცხოვრება ჰქმნიდა და უფრთხილდებოდა... მას არ სცოდნია არც დაღლა, არც მოქანცულობა და არც უგუნებობა... მუდამ თავდაუზოგავად მუშაობდა და თავის წარმტაც შემოქმედებით ლაბირინთებზე ჩვეული მოკრძალებით და უხერხული ღიმილით საუბრობდა... თუმცა კი იცოდა, რომ მის ხანმოკლე სიცოცხლეს მისივე ხელოვნება მარადიულობით შემოსავდა.

**მზეხა მახარაძე.**

## შეცდომების გასწორება

„კვირაძალს საკითხავის“ მე-13 ნომერში არის კორექტურული შეცდომები – წერილში „ფრთხილად კლასიკაა!“ მესამე სვეტში, ზემოდან პირველი აბზაცის დასაწყისი უნდა იკითხებოდეს ასე: „**1846 წელს პოეტის მეგობრებს“...** მეოთხე სვეტში, ბოლო აბზაცის სწორი დასასრულია: **„ამ დილეტანტურ ესკიზში“.**

ჩვენი ტელეფონებია: 95-46-03; 99-55-01; 893 14-57-56.

ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მზეხა მახარაძე, მამუკა ვაშაკიძე.



**საქართველოს მეგობრები**

# „ჩვენ ძალიან ვაფასებთ იმ ყურადღებას, რასაც თქვენ ყოველთვის იჩენდით და იჩენთ ქართველ მეცნიერთა მიმართ“

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველს, აკადემიკოს გ. მარჩუკს

**დიდად პატივცემულო ბატონო გური,**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გულითადად გილოცავთ თქვენ, გამოჩენილ მეცნიერს, მეცნიერების დიდ ორგანიზატორს, ცნობილ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს დაბადების 80 წლისთავს.**

**საყოველთაო აღიარება მოიპოვა თქვენმა მრავალფეროვანმა და უაღრესად ნაყოფიერმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცა არის გამოთვლითი და გამოყენებითი მათემატიკა, ბირთვული რეაქტორების გაანგარიშების მეთოდები, ატმოსფეროსა და ოკეანის ფიზიკა, ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა, გარემოს მათემატიკური მოდელირება.**

**თქვენმა მნიშვნელოვანმა მეცნიერულმა მიღწევებმა და წარმატებებმა მეცნიერების ორგანიზაციის საქმეში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მინიჭებული გაქვთ ყველაზე მაღალი სახელმწიფო ჯილდოები და პრესტიჟული სამეცნიერო პრემიები. ჩვენ გვახარებს და ვამაყობთ იმით, რომ თქვენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი ბრძანდებით. ჩვენ ძალიან ვაფასებთ იმ ყურადღებას, რასაც თქვენ ყოველთვის იჩენდით და ახლაც იჩენთ ქართველ მეცნიერთა მიმართ.**

**დიდია თქვენი წვლილი რუსეთის და საქართველოს მეცნიერთა შორის ნაყოფიერი სამეცნიერო კავშირების დამყარებაში.**

**გისურვებთ, ძვირფასო ბატონო გური, დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახში ბედნიერებასა და ახალ წარმატებებს თქვენს დიდ და ნაყოფიერ მოღვაწეობაში.**

**პატივისცემით**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი**
**თამაზ გამყრელიძე.**

## ქრისტეს დაუსვეს დიაგნოზი



**ებრაელ მკვლევარს, პროფესორ ბენჯამინ ბრენერს მიაჩნია, რომ ქრისტეს გარდაცვალების მიზეზი გახდა არა დიდი რაოდენობის სისხლის დაკარგვა, როგორც ამას წინათ ამტკიცებდნენ, არამედ თრომბოზი.** ტრავმებისა და ხანგრძლივი დროით უმოძრაობის შედეგად მოწყვეტილი ტრომბი მოხვდა ფილტვში, რამაც სწრაფი სიკვდილი გამოიწვია. ასეთი ვერსია უკვე წამოაყენეს ამერიკელმა მეცნიერებმა, თუმცა, დებატების დროს ისინი დათანხმდნენ, რომ ქრისტე მაინც დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის გამო აღესრულა.

## ბახი ცეცხლში არ იწვის

**გერმანიაში იპოვეს იოჰან სებასტიან ბახის აქამდე უცნობი ნაწარმოების პარტიტურა. ნოტების ფურცლები სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს ერთ-ერთ წიგნში, რომელიც 2004 წლის სექტემბერში, ვაიმარში მომხდარი ძლიერი ხანძრის დროს გამოიტანეს ჰერცოგინია ანა ამალეას ბიბლიოთეკიდან.**

როგორც ბახის ფონდის ხელმძღვანელმა კრისტოფ ვოლფმა თქვა, ეს უცნობი ნაწარმოები არ განეკუთვნება კომპოზიტორის შედევრებს. ხელნაწერის აუტენტურობა უკვე დაადასტურეს ექსპერტმა-



გრაფოლოგებმა, რომლებმაც პარტიტურა შეუდარეს ბახის სხვა ორიგინალურ ხელნაწერებს. ეს ნაწარმოები არის საქსონიის ჰერცოგისთვის 1713 წელს შექმნილი პოემის „მუსიკალური ვერსია“. უახლოეს დღეებში მას პირველად შეასრულებენ ბრიტანელი დირიჟორის ჯონ ელიოტ გარდინერის ხელმძღვანელობით.

# უთანხმოება ერთიანი ევროპის რიგებში

**საფრანგეთის და გერმანიის ლიდერები მართავენ მორიგ შეხვედრას და ცდილობენ გამონახონ გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიც აღმოჩნდა ევროკავშირი ევროპის კონსტიტუციის თაობაზე საფრანგეთსა და ნიდერლანდში გამართული რეფერენდუმების შემდეგ.**

ჟაკ შირაკი და გერჰარდ შრედერი ცდილობენ შეიმუშაონ ერთიანი პოზიცია ევროკავშირის სამიტისთვის, რომელიც 16-17 ივნისს უნდა გაიმართოს.

სამიტზე უმთავრესი იქნება ევროკავშირის ბიუჯეტთან დაკავშირებული სტერლინგს (4,6 მილიარდ ევროს). ბრიტანელები აცხადებენ, რომ კომპენსაცია კვლავ გამართლებულია, რადგან დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირის ბიუჯეტში სიდიდით მეორე გადამხდელი ქვეყანა, დოტაციებისა და სხვა ფორმის დაფინანსების სახით ევროპის ბიუჯეტიდან გაცილებით ნაკლებს იღებს, ვიდრე ევროკავშირის სხვა წევრები.

ტონი ბლერის პასუხი სწრაფი და საკმაოდ მკვახე იყო: „ჟესტი უკვე გაკეთებულია – ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში, თვით კომპენსაციების გათვალისწინებითაც კი, ევ-



საკითხების განხილვა, და, სავარაუდოდ, ცხარე კამათი იქნება მოსალოდნელი. ფრანგები ედავებიან ბრიტანელებს, იტალიელები მოითხოვენ ფინანსურ შეღავათებს, ჰოლანდიელები აცხადებენ, რომ აღარ სურთ ევროპის ხაზინაში შეიტანონ სხვა ქვეყნებზე მეტი თანხა.

პირველი „გასროლა“ მომავალ საბიუჯეტო ბრძოლაში განახორციელა ჟაკ შირაკმა. მან მოუწოდა ბრიტანეთის პრემიერს ტონი ბლერს, დათანხმდეს დიდი ბრიტანეთის საბიუჯეტო კომპენსაციის საკითხში კომპრომისს. „დადგა დრო, ჩვენმა ბრიტანელმა მეგობრებმა შეიგნონ, რომ აუცილებელია სოლიდარობის ჟესტი“, – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

1984 წელს დადებული შეთანხმების მიხედვით, ბრიტანეთი ევროკავშირის ბიუჯეტიდან ეროვნულ ხაზინაში იღებს 3 მილიარდ გირვანქა

როკავშირის ბიუჯეტს ჩვენ მივეცით 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთმა“. დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა გორდონ ბრაუნმა კი განაცხადა, რომ ლონდონი არც აპირებს ბრიტანეთის კომპენსაციათა შესახებ საკითხის განხილვას. „ჩვენ ერთმნიშვნელოვნად აღვნიშნეთ, რომ კომპენსაცია დასაბუთებულია, და თუ მოითხოვს ამას ეროვნული ინტერესები, ვეტოს უფლებასაც გამოვიყენებთ“, – თქვა მინისტრმა.

კონსტიტუციის თაობაზე გამართული ორი რეფერენდუმის შემდეგ, რომელთა შედეგადაც ჩიხში მოექცა ახალი, გაფართოებული ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესები, ევროპის ქვეყნების ლიდერებმა უნდა გამოიჩინონ ერთსულოვნება, მაგრამ ამას დასჭირდება ის, რომ დასავლეთ ევროპის თითქმის ყოველი ქვეყანა დათანხმდეს რაღაც კომპრომისს.

**დღეს სფფ-ს ყრილობაა**

# როცა პრეზიდენტი ცნობილია



**დღეს 12 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაა დანიშნული, სადაც ფორმალური არჩევნების შემდეგ გზას სფფ-ს ახალ, დამოუკიდებლობის პერიოდში რიგით მესამე პრეზიდენტს – უმცროს ნოდარ ახალკაცს დავულოცავთ.**

უალტერნატივო კანდიდატის ოფიციალურ გამარჯვებას 26 ხმოსანი დელეგატიდან უბრალო უმრავლესობის – მინიმუმ, თოთხმეტის მხარდაჭერა სჭირდება, რაც არსებული რეალიების გათვალისწინებით, უკვე მომხდარ ფაქტადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მართალია, ხელისუფლების ღირსეული ფავორიტის ტახტზე ასვლის ამბავი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია, მაგრამ მაინც აუცილებლად მივიჩნევთ, ორიოდე სიტყვით წინასაარჩევნო პერიოდს დავუბრუნდეთ. და იცით, რატომ? უპირველესად იმიტომ, რომ ახლო წარსულისგან განსხვავებით, არც ერთ „მაძიებელს“ არ უკადრია რომელიმე კონკურენტის ლაფში ამოსვრა. დაგვეთანხმებით, არცთუ უმნიშვნელო ნიუანსია, რომელიც მცირე პროგრესად შეიძლება შეფასდეს. უფრო დიდ, და არა მხოლოდ საფეხბურთო მიღწევებზე საუბრის საბაბი, ვიმედოვნებთ, აწი მოგვეცემა.

**გია პლატონიშვილი.**

**მინაწერი: ფედერაციის აღმასკომმა გუშინ დააკმაყოფილა სფფ-ს გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ და იგი ფასიანი საჩუქრით – ძვირფასი საათით დააჯილდოვა.**

**გ. პ.**

**ფეხბურთი**

# რეაბილიტაციის შანსი

**გემახსოვრებათ, როგორი სირცხვილი გვაჭამა შარშანდელ ევროსეზონში თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“. ლაქის ნაწილობრივი ჩამორეცხვის შესაძლებლობა (თუ საერთოდ მოხერხდა მისი ჩამორეცხვა) ვეტერინარებს მალე მიეცემათ – ქვეყნის ექსჩემპიონები ერთ კვირაში ინტერტოტოს თასის გათამაშებაში ჩაებმებიან.**

ამ დღეებში გამართულმა კენჭისყრამ I რაუნდში საქართველოს წარმომადგენელთა მეტოქედ უნგრეთის სრულიად უცნობი კლუბი „პაპა ლომბარდი“ დაასახელა (18-19 და 25-26 ივნისი). პირველი მატჩი სტუმრადაა დანიშნული. წარმატების შემთხვევაში II ეტაპზე ჩვენი გუნდი ლუქსემბურგის „ვიქტორიასა“ და შვედეთის „გიოტებორგს“ შორს გამარჯვებულს შეხვდება (2-3 და 9-10 ივლისი). ამჯერად პირველ დუელს თბილისი უმასპინძლებს.

**სპორტულ ორბიტაზე**

## აბრამოვიჩის საიდუმლო აგენტი



**რუსეთელ მილიარდერს, ლონდონის „ჩელსის“ პატრონს რომან აბრამოვიჩს საიდუმლო აგენტი ჰყავს, რომელიც მას ამარაგებს კონფიდენციური რჩევებით მთელი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებზე. ეს ცნობები მხოლოდ აბრამოვიჩისთვისაა არის განკუთვნილი. იქამდე გუნდის მწვრთნელს ჟოზე მოურინოსაც კი არ მიუწვდება ხელი.**

თუმცა ჟურნალისტებს რა დაემალებათ. ინგლისური გაზეთის Daily Telegraph ჟურნალისტებმა მაინც მიაგნეს მის კვალს და გაარკვიეს, თუ ვინ არის აბრამოვიჩის საიდუმლო მზვერავი. ის აღმოჩნდა 60 წლის ჰოლანდიელი პიტ დე ვისერი, რომელმაც ახლახან მიიღო ჰოლანდიაში ძალზე პრესტიჟული რენუს მიხელსის პრემია დაზვერვისა და მწვრთნელობისთვის. მისი ოფიციალური თანამდებობაა კლუბ პსვ-ს საერთაშორისო მზვერავი. ის მთელ მსოფლიოში მოგზაურობს, ხშირად ჩადის ბრაზილიასა და არგენტინაში, სადაც, მისი აზრით, კარგი ფეხბურთელები მოიძებნებიან. უკვე მეორე წელია, აბრამოვიჩსაც ემსახურება. მასთან დაკავშირება მეგობრებმა მირჩიესო, – ამბობს დე ვისერი, – ჩვენ ხშირად ვხვდებით ხან იახტაზე, ხან – სახლში.

„მე მას მხოლოდ რჩევებს ვაძლევ. ეს ხდება „ტეტ-ა-ტეტ“ (პირისპირ), თუ რას ვაკეთებ მისთვის, საიდუმლოა“.

აბრამოვიჩი კი ამბობს: „მე ძალიან მიყვარს ეს ადამიანი, მე გაგიჟებით მიყვარს ფეხბურთი, ისიც გადარეულია ფეხბურთზე“.

## კოლინას პენსიაზე აცილებენ

**ფეხბურთში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი, იტალიელი პიერ ლუიჯი კოლინა თავის ბოლო ოფიციალურ მატჩს 18 ივნისს იმსაჯებს. ამ დღეს „ბოლონია“ და „პარმა“ ერთმანეთს შეებრძოლებიან A სერიაში თამაშის უფლებისთვის.**



იტალიაში ფეხბურთის მსაჯმა თავისი კარიერა 45 წლის ასაკში უნდა დაასრულოს. კოლინამ ამ ზღვარს თებერვალში გადააბიჯა.

იგი, პროფესიით საფინანსო კონსულტანტი, მსაჯად 1977 წლიდან მუშაობს. A სერიაში პირველი მატჩი მან 1991 წელს ჩაატარა, ოთხი წლის შემდეგ კი მიიღო „ფიფას არბიტრის“ წოდება. შემდგომ ის ხუთჯერ აღიარეს მსოფლიოში საუკეთესო მსაჯად.

მისი კარიერის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი მოვლენები იყო: ჩემპიონთა ლიგის ფინალის მსაჯობა 1999 წელს, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაამარცხა „ბავარია“ – 2:1, აგრეთვე 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრებების ფინალური მატჩი.


# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
# მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

## საიდენტიფიკაციო ნომერი: BAT/203
## მსოფლიო ბანკის კრედიტი №3701-GE
## მდ. ჩაქვის ბაზაზე ქ. ბათუმის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეკონსტრუქცია

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით მდ. ჩაქვის ბაზაზე ქ. ბათუმის წყალსადენის სათავე ნაგებობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს სათავე ნაგებობების და გამწმენდი სადგურის რეკონსტრუქციას, წყალმიმღები ნაგებობების აღდგენა-გამაგრებას; სარეაგენტო, საქლორატორო და ადმინისტრაციული შენობების აღდგენას; წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობას, სატუმბო და სატრანსფორმატორო სადგურების შეკეთებას; მაღალი ძაბვის გარე ელმომარაგების აღდგენას (კონტრაქტი №BAT/203). სამუშაოების ხანგრძლივობაა 12 თვე.
2. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად. ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი.
3. საკონკურსო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე, კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი, 0105. ტელ. 94-32-40; 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39,** წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 275 ლარის (ან 150 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:
**ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი 220101757**
**ლარის ანგარიში №3834080001**
**დოლარის ანგარიში №334180001**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.**
საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება ფოსტით. თუკი კონკურსის მონაწილე მოითხოვს აღნიშნული დოკუმენტაციის მიწოდებას საკურიერო სერვისის მეშვეობით, მან უნდა გადაიხადოს დამატებით 275 ლარი (ან 150 აშშ დოლარი).
დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე:
4. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს **2005 წლის 28 ივლისის 15 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს **წინადადების საბანკო გარანტია 50000 (ორმოცდაათი ათას**) ლარზე (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში). საკონკურსო წინადადებები გაიხსნება აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 28 ივლისს 15 საათზე** კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.
5. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

## საიდენტიფიკაციო ნომერი: RUS/203
## მსოფლიო ბანკის კრედიტი №3701-GE
## ქ. რუსთავში მეგობრობის გამზირის კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. რუსთავში აღმაშენებლის გამზირის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 708მ სიგრძის ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობას, ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების აღდგენას, წყალმომარაგების მილების შეცვლას და სხვა დაკავშირებულ სამუშაოებს (კონტრაქტი RUS/203). სამუშაოების ხანგრძლივობაა 5 თვე.
2. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად. ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი.
3. საკონკურსო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე, კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი, 0105. ტელ. 94-32-40; 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39,** წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 183 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:
**ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი 220101757**
**ლარის ანგარიში №3834080001**
**დოლარის ანგარიში №334180001**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.**
საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება ფოსტით. თუკი კონკურსის მონაწილე მოითხოვს აღნიშნული დოკუმენტაციის მიწოდებას საკურიერო სერვისის მეშვეობით, მან უნდა გადაიხადოს დამატებით 183 ლარი (ან 100 აშშ დოლარი).
დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე:
4. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 28 ივლისის 15 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს **წინადადების საბანკო გარანტია 30000 (ოცდაათი ათას) ლარზე** (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში). საკონკურსო წინადადებები გაიხსნება აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 28 ივლისს 15 საათზე** კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.
5. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

## საიდენტიფიკაციო ნომერი: KTS/202
## მსოფლიო ბანკის კრედიტი №3701-GE
## ქ. ქუთაისში აღმაშენებლის გამზირის კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები წინადადებით ქ. ქუთაისში აღმაშენებლის გამზირის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 1219მ სიგრძის ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობას, ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის აღდგენას, წყალსადენის განშტოებების შეცვლას და სხვა დაკავშირებულ სამუშაოებს (კონტრაქტი KTS/202). სამუშაოების ხანგრძლივობაა 3 თვე.
2. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად. ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი.
3. საკონკურსო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე, კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი, 0105. ტელ. 94-32-40; 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39,** წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 183 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:
**ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი 220101757**
**ლარის ანგარიში №3834080001**
**დოლარის ანგარიში №334180001**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.**
საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება ფოსტით. თუკი კონკურსის მონაწილე მოითხოვს აღნიშნული დოკუმენტაციის მიწოდებას საკურიერო სერვისის მეშვეობით, მან უნდა გადაიხადოს დამატებით 183 ლარი (ან 100 აშშ დოლარი).
დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე:
4. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 28 ივლისის 15 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 22000 (ოცდაორი ათას) ლარზე (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში). საკონკურსო წინადადებები გაიხსნება აღნიშნულ მისამართზე 2005 წლის 28 ივლისს 15 საათზე კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.
5. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.


# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“

# ბრძანება

2005 წ. 10 ივნისი — ქ. თბილისი — №251/გ

**ახალ სამგზავრო საფირმო მატარებელზე სეზონური სამგზავრო ტარიფების შემოღების შესახებ**

შპს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს 2005 წლის 31 მაისის №18/69 დადგენილების და გენერალური დირექტორის 2005 წლის 3 ივნისის ბრძანება №243/გ-ეს შესრულების მიზნით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შემოღებულ იქნეს 2005 წლის 1 ივლისიდან 21 სექტემბრამდე სეზონური სამგზავრო ტარიფები ახალ საფირმო მატარებელზე თანდართული ცხრილის მიხედვით.
2. დაევალოს სამგზავრო გადაყვანების სამსახურს, დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზის და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახურს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოადგინონ დასამტკიცებლად ა. წ. 21 სექტემბრიდან შემოსაღები სამგზავრო ტარიფები.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ფილიალ „სამგზავრო გადაყვანების“ დირექტორს (მ. შამუგია).

**გენერალური დირექტორი**
**დ. ონოფრიშვილი.**

**ცხრილი №4**

**საფირმო მატარებელზე მგზავრობის ტარიფი (ლარი, თეთრი) ძალაშია 2005 წლის 1 ივლისიდან**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | | | [illegible] | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 |
| 5 | 1-50 | 23.50 | 15.50 | 7.50 | 13.30 | 9.30 | 5.30 |
| 6 | 51-60 | 23.50 | 16.50 | 7.50 | 13.30 | 9.80 | 5.30 |
| 7 | 61-70 | 24.50 | 16.50 | 7.50 | 13.80 | 9.80 | 5.30 |
| 8 | 71-80 | 24.50 | 16.50 | 4.50 | 13.80 | 9.80 | 5.30 |
| 9 | 81-90 | 25.50 | 17.50 | 7.50 | 14.30 | 10.30 | 5.30 |
| 10 | 91-100 | 25.50 | 17.50 | 7.50 | 14.30 | 10.30 | 5.30 |
| 11 | 101-110 | 26.50 | 17.50 | 7.50 | 14.80 | 10.30 | 5.30 |
| 12 | 111-120 | 26.50 | 17.50 | 8.50 | 14.80 | 10.30 | 5.80 |
| 13 | 121-130 | 27.50 | 18.50 | 8.50 | 15.30 | 10.80 | 5.80 |
| 14 | 131-140 | 28.50 | 18.50 | 8.50 | 15.80 | 10.80 | 5.80 |
| 15 | 141-150 | 28.50 | 18.50 | 8.50 | 15.80 | 10.80 | 5.80 |
| 16 | 151-160 | 29.50 | 19.50 | 8.50 | 16.30 | 11.30 | 5.80 |
| 17 | 161-170 | 29.50 | 19.50 | 8.50 | 16.30 | 11.30 | 5.80 |
| 18 | 171-180 | 30.50 | 19.50 | 9.50 | 16.80 | 11.30 | 6.30 |
| 19 | 181-190 | 30.50 | 19.50 | 9.50 | 16.80 | 11.30 | 6.30 |
| 20 | 191-200 | 31.50 | 20.50 | 9.50 | 17.30 | 11.80 | 6.30 |
| 21 | 201-210 | 31.50 | 20.50 | 9.50 | 17.30 | 11.80 | 6.30 |
| 22 | 211-220 | 32.50 | 20.50 | 9.50 | 17.80 | 11.80 | 6.30 |
| 23 | 221-230 | 32.50 | 21.50 | 9.50 | 17.80 | 12.30 | 6.30 |
| 24 | 231-240 | 33.50 | 21.50 | 9.50 | 18.30 | 12.30 | 6.30 |
| 25 | 241-250 | 34.50 | 21.50 | 10.50 | 18.80 | 12.30 | 6.80 |
| 26 | 251-260 | 34.50 | 21.50 | 10.50 | 18.80 | 12.30 | 6.80 |
| 27 | 261-270 | 35.50 | 22.50 | 10.50 | 19.30 | 12.80 | 6.80 |
| 28 | 271-280 | 35.50 | 22.50 | 10.50 | 19.30 | 12.80 | 6.80 |
| 29 | 281-290 | 36.50 | 22.50 | 10.50 | 19.80 | 12.80 | 6.80 |
| 30 | 291-300 | 36.50 | 23.50 | 10.50 | 19.80 | 13.30 | 6.80 |
| 31 | 301-310 | 37.50 | 23.50 | 10.50 | 20.30 | 13.30 | 6.80 |
| 32 | 311-320 | 37.50 | 23.50 | 11.50 | 20.30 | 13.30 | 7.30 |
| 33 | 321-330 | 38.50 | 23.50 | 11.50 | 20.80 | 13.30 | 7.30 |
| 34 | 331-340 | 38.50 | 24.50 | 11.50 | 20.80 | 13.80 | 7.30 |
| 35 | 341-350 | 39.50 | 24.50 | 11.50 | 21.30 | 13.80 | 7.30 |
| 36 | 351-360 | 40.50 | 24.50 | 11.50 | 21.80 | 13.80 | 7.30 |
| 37 | 361-370 | 40.50 | 25.50 | 11.50 | 21.80 | 14.30 | 7.30 |
| 38 | 371-380 | 41.50 | 25.50 | 11.50 | 22.30 | 14.30 | 7.30 |
| 39 | 381-390 | 41.50 | 25.50 | 12.50 | 22.30 | 14.30 | 7.80 |
| 40 | 391-400 | 42.50 | 25.50 | 12.50 | 22.80 | 14.30 | 7.80 |

* ტარიფს ემატება მოსაკრებელი *0,50* ლარი.
** ტარიფში I და II კლასის ვაგონებისთვის გათვალისწინებულია კვების საფასური.
*** ტარიფში გათვალისწინებულია თეთრეულის საფასური.

**შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს თბილისი-ბათუმის დანიშნულებით მოძრავი საფირმო მატარებლის I და II კლასის ვაგონის მგზავრთა კვებაზე, მსურველებმა ა. წ. 20 ივნისამდე წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები და კვების პროდუქტების ნიმუშები ფასის მითითებით.**

**შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს თბილისი-ბათუმის დანიშნულებით მოძრავი საფირმო მატარებლის მგზავრთა მაღალი ხარისხის თეთრეულით მომარაგებაზე. მსურველებმა ა. წ. 20 ივნისამდე წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები და თეთრეულის ნიმუშები ფასის მიხედვით.**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თბილისის აეროპორტის ყოფილი უფროსი, უმაღლესი კატეგორიის მფრინავი ემზარ ჩაჩავა (მარჯვნიდან პირველი) თანაკურსელებთან ერთად. 1971 წ.

მოგვაწოდა ნინო ანდრონიკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

## გიხაროდენ!

### ჩირიკაშვილების ფერია



**ვაფხულის ლამაზ დღეს, 8 ივნისს ერთი მშვენიერი გოგონაც დაიბადა — მთვარისა თევზაძისა და დავით ჩირიკაშვილის მეორე შვილი. მშობლებმა პატარას ლიზი დაარქვეს. მათ შინ კიდევ 6 წლის მიშიკო ჰყავთ, რომელიც დაიკოს შინ მისვლას მამიდაშვილებთან გვანცა, საჩინო და დადია აბურჯანიებთან ერთად მოუთმენლად ელოდება.**

ხარობს ჩირიკაშვილების ბედნიერი ოჯახი. ბებია-პაპისთვის — მაყვალა და მარვინ ჩირიკაშვილებისთვის ლიზი მეხუთე შვილიშვილია, ხარობენ გოგონას მამიდა და ბიძა თამარ ჩირიკაშვილი და ლევან აბურჯანია.

დედა და შვილი თავს კარგად გრძნობენ და მალე შინ გაეწერებიან. ეს უწინარესად სამშობიარო სახლი „ორიონის" დირექტორის დავით გაგუასა და მისი თანამშრომლების პროფესიონალიზმისა და გულისხმიერების დამსახურებაა.

მეორე შვილს ვულოცავთ მთვარისას და დავითს, ბედნიერება და ულევი სიხარული ნუ მოჰკლებოდეთ.

მეგობლები.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს, თუმცა მანამდე უნდა ჩარეცხოს ნაქნარი.

* * *

— ექიმო, მე ღორი ვარ.
— ხდება ხოლმე. იცით, არც მე ვარ ღვთის საჩუქარი...
— არა, მე ნამდვილი ღორი ვარ! ვღრუტუნებ, გუბე-წუმპეში ვწვები, ლობეზე ვიფხან ზურგს... ექიმო, მიმკურნალებთ?
— რატომ? თქვენ ჯანმრთელი ხართ. უმჯობესია, უკეთ გამოგკვებოთ. დღესასწაულამდე...

* * *

თაფლობის თვე მაშინ თავდება, როდესაც ახალგაზრდები საცვლებით იძინებენ.

* * *

ვცვლი დღის სიბრაზეს ღამის სიხარულზე.

* * *

— თქვენს თავს ეწვევიან ხოლმე აზრები სექსის შესახებ?
— რას ჰქვია, ეწვევიან? — ისინი იქ ცხოვრობენ!

* * *

როდესაც ქალი თხოვდება, იგი მრავლის, მრავლის, მრავლის ყურადღებას ცვლის... ერთის უყურადღებობაზე.

* * *

გახდომის რეცეპტი: ორშაბათს — ვაშლი; სამშაბათს — სტაფილო; ოთხშაბათს — კეფირი; ხუთშაბათს — ბანანი; პარასკევს — კარტოფილი; შაბათს — განტვირთვის დღე; კვირას — დაკრძალვა.

## ლარის კურსი

11 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3.3222 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8201 ლ. |
| ევრო | 1 | 2.2260 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0640 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0.3836 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0.4000 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.5999 ლ. |

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## წიგნი

### ჩვენ ვისწრაფვით ევროპისკენ

**ამ ნაშრომს საზოგადოებისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, — თქვა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ ამავე ბანკში გამართულ წიგნის („გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია") წარდგენაზე, რომლის ავტორი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი ამბროსი გრიშიკაშვილი გახლავთ.**

როგორც წარდგენაზე აღინიშნა, წიგნის უმთავრესი სულისკვეთება ევროპისკენ სწრაფვაა. თუმცა ამ სწრაფვის უმთავრესი მიზანი, როგორც ხშირად ფიქრობენ, მაინცდამაინც რაიმე სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში გაერთიანება კი არ უნდა იყოს, არამედ იმ დასავლურ-ქრისტიანული ღირებულებების ათვისება და დამკვიდრება, რომლებიც ისტორიულად აქვს ევროპას. სწორედ ამგვარ ეკონომიკურ ღირებულებებზეა წიგნში საუბარი და კიდევ იმაზე, თუ რა გზა გვაქვს გასავლელი, ვიდრე მათ ცხოვრებაში დავამკვიდრებდეთ. ეს გზა გრძელია და ახლა ამის თაობაზე დაწვრილებით არ შევჩერდებით, მხოლოდ იმას ვიტყვით, როგორია წიგნის ძირითადი ქარგა.



ნაშრომი ეხება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, რომელთა დაყოფა პირობითად ოთხ ძირითად ჯგუფად შეიძლება: საქართველო, დსთ-ს ქვეყნები, ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები და „ბებერი" ევროპული ქვეყნები. შესაბამისად, ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი ამ ჯგუფების მიხედვით განიხილება, ესენია: მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების, დასაქმების მაჩვენებლები, ინფლაცია, საბიუჯეტო, საბანკო-საკრედიტო მაჩვენებლები და ა.შ.

ამასთან, ავტორი ცდილობს, დაადგინოს, თუ რა კავშირები არსებობს როგორც ეკონომიკურ მაჩვენებლებს ისე ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და სხვა კატეგორიებს შორის. კერძოდ, რა კავშირია მშპ-ს ზრდასა და დემოკრატიას შორის, როგორ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან ინფლაცია და დასაქმების პრობლემა, რა სირთულეებია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სფეროში, რა კავშირია უმუშევრობის ზრდასა და სუიციდებს (თვითმკვლელობას) შორის, როგორ არის დაკავშირებული საბიუჯეტო მოწყობა ქვეყნის მმართველობის სისტემასთან და სხვა.

წიგნი განკუთვნილია მეცნიერ-ეკონომისტების, პედაგოგების, სტუდენტებისთვის, საერთოდ, მათთვის, ვისაც პოსტკომუნისტური ქვეყნების განვითარების პრობლემები აინტერესებს.

ოტია ჩართოლანი.

## „ოლე"

### დიდი მდინარის შენაკადი

**საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას ეწევა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი". მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ახალგაზრდა მწერლების გამოვლენა და ხელშეწყობაა. ამ მიზნის მიღწევაში ასოციაციას დიდ დახმარებას უწევს ბეჭდური გამოცემები, რაშიც სათანადო თანადგომას არ იშურებს რაიონული გამგეობა.**

ახლახან მკითხველმა მიიღო ალმანახი „ოლე", რომელიც სამ თვეში ერთხელ გამოდის. ალმანახი (მთავარი რედაქტორი — აკაკი დაუშვილი) იხსნება ნუგზარ ჩიკვაიძის რომანით „კიდობანი ლივლივებს მდინარეზე" (გაგრძელება). საინტერესო ჩანახატებს — „ზესთასოფლის თელაველები" გვთავაზობს ზაზა გიორგაძე. დაბეჭდილია აგრეთვე ფარნაოზ რაინაულის, თამარ მაისურაძის, ლეილა თარალაშვილის, რამაზ ქურციკაშვილის, ჯუმბერ უთრუთაშვილის ლექსები, გიზო თავაძის მოთხრობები, ვასო მახარობლიძის პიესა „მხიარული კარნავალი, ანუ პაროდია თემაზე „თავისუფლება".

ალმანახი ეხმაურება ანა კალანდაძის 80 და ლევან გოთუას 100 წლის იუბილეებს. გამოქვეყნებულია ლეილა შალვაშვილის, ნიკო გოგოჭაურის, არჩილ სპარსიაშვილის წერილები, ფრანგი მწერლის თეოფილ გოტიეს „ყავადანის" ელდარ ჭიჭიაშვილისეული თარგმანი. „ლექსი — იუბილარის" რუბრიკით დაბეჭდილია გალაკტიონის „ლურჯა ცხენები".

ალმანახი გაფორმებულია მხატვარ ჯემალ ლაშქარაშვილის ნამუშევართა რეპროდუქციებით „ძველი თელავი", „მარანი", „ალაზნის ჭალა", „ყაყაჩოები"...

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი" მადლობას უხდის პრეზიდენტის რწმუნებულს პეტრე ცისკარიშვილს თანადგომისა და ხელშეწყობისთვის.

ალმანახის მორიგ ნომერს მკითხველი სექტემბერში მიიღებს.

გუჯა დუბელი.

## ამინდი დღეს

| 11 ივნისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 32⁰ | 18⁰ |
| ბათუმი | 32⁰ | 15⁰ |
| თელავი | 31⁰ | 17⁰ |
| სოხუმი | 30⁰ | 16⁰ |
| ქუთაისი | 28⁰ | 17⁰ |

## გამოფენა

### მოდით, ვინც აშენებს

**თბილისის სპორტის სასახლე სამ დღეს უმასპინძლებს მეორე საერთაშორისო გამოფენას „მშენებლობა", რომელიც ოფიციალურად გუშინწინ გაიხსნა. მასში მონაწილეობენ აზერბაიჯანის, ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, პოლონეთის, რუსეთის, ჩინეთის ოცდაათზე მეტი კომპანია.**

ინფორმაციას, ამა თუ იმ ფირმის რეკვიზიტებს, რათა თქვენთვის საჭირო საქონელი შეუფერხებლად შეიძინოთ.

გამოფენის ორგანიზატორები არიან ბრიტანული კომპანია ITE Group Pic და მისი ექსკლუზიური პარტნიორი საქართველოში „იტერა კავკასია". იგი ეწყობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიის, საქართველოს მშენებელთა ფედერაციისა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ოფიციალური მხარდაჭერით.



გამოფენაზე წარმოდგენილია სამშენებლო მოწყობილობები, გათბობისა და ვენტილაციის სისტემები. სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, კარ-ფანჯრები და ინტერიერი, კერამიკული პროდუქცია. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შესაძლებლობას მოგცემთ, ახლო გაეცნოთ უახლეს მიღწევებს. ყველა განყოფილებას ემსახურება წარმომადგენელი. მისი მეშვეობით მიიღებთ ყველა აუცილებელ

გამოფენა დღეს დაიხურება. როგორც პირველი ორი დღე მოწმობს, იგი ბევრი ფიზიკური თუ იურიდიული პირის ინტერესებს იწვევს.

გუჯა რთველაძე.

გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

## დღის კალენდარი 11 ივნისისთვის

**წლის 162-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 203 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

**ხსენება პირველი მსოფლიო კრებისა (325); წმიდა ქალწულმოწამეთა: თეოდოსია ტვირელისა (307) და თეოდოსია კონსტანტინეპოლელისა (726-730).**

**დაიბადნენ:**

**1573** — **ბენჯამინ ჯონსონი,** ინგლისელი დრამატურგი. გარდაიცვალა 1637 წელს.
**1669** — **ანტონიო ვივალდი,** კომპოზიტორი, მევიოლინე და დირიჟორი, გარდაიცვალა 1741 წელს.
**1776** — **ჯონ კონსტებლი,** ინგლისელი ფერმწერი. გარდაიცვალა 1837 წელს.
**1864** — **რიჰარდ შტრაუსი,** ავსტრიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1949 წელს.
**1899** — **იასუნარი კავაბატა,** იაპონელი მწერალი,ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1962 წელს.
**1910** — **ჟაკ-ივ კუსტო,** ფრანგი ოკეანოგრაფი, აკვალანგის გამომგონებელი. გარდაიცვალა 1997 წელს.
**1930** — **მორის ფოცხიშვილი,** პოეტი. გარდაიცვალა 1990 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

**1970** — **ალექსანდრ კერენსკი,** რუსი პოლიტიკური მოღვაწე, თებერვლის (1917 წ.) რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი.

**მოვლენები:**

**1453** — დაეცა ბიზანტიის იმპერია.
**1992** — რუსეთში მიიღეს პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა.
**2000** — ინდონეზიის დედაქალაქში ჯაკარტაში გამძვინვარებულმა ბრბომ ცოცხლად დაწვა ხუთი კაცი, რომელიც ავტობუსში ქურდობდნენ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ავსტრალია** – დედოფლის დაბადების დღე.
**ნეპალი** – მეფის დღე.

მედია-ნიუსი.

## რეგიონი

### მალარიის საშიშროება ლაგოდეხში

**ლაგოდეხში ჩასული სპეციალური კომისია იმ ზარალის ოდენობას აზუსტებს, რომელიც რაიონს წყალდიდობამ მიაყენა. სტიქიამ დაახლოებით 180 ოჯახი დააზარალა.**

**რაიონის ხელმძღვანელობა უკვე შეხვდა პრემიერ-მინისტრს, ჯერჯერობით მხოლოდ ინფრასტრუქტურის აღსადგენ თანხის გამოყოფაზე ისაუბრეს.**

**სტიქიამ მალარიის კერად წოდებულ ლაგოდეხის რაიონში ეს პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა. წყლის დონის მომატების გამო ჭიაურის ტყეში მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიების გატარება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.**

მედია-ნიუსი.

## იუბილე

### თავისი თაობის ღირსეული წევრი

**უფროსი თაობის თბილისელებს რა დაავიწყებთ „მოზარდის" სპექტაკლებს, ამ სპექტაკლებში მოთამაშე მსახიობებს, რომელთა შორისაც ჭეშმარიტად გამოირჩეოდა გიორგი დარისპანაშვილი. შესანიშნავი გარეგნობისა და ნიჭის წყალობით მას როლებიც განსაკუთრებული ჰქონდა. მაგალითად, შამილი (ი. ვაკელის „შამილი"), ლადო კეცხოველი (გ. ნახუცრიშვილის „ლადო კეცხოველი"), ბიძინა ჩოლოყაშვილი (ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი") და მრავალი სხვა.**



გიორგი დარისპანაშვილმა თბილისის მუშათა თეატრში დაიწყო მსახიობობა, მერე მოღვაწეობდა ველისციხისა და ჭიათურის თეატრებში, ხოლო თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში, მართლაც რომ, გაიფურჩქნა მისი შესაძლებლობანი. იგი მსახიობობასთან ერთად რამდენიმე სპექტაკლის რეჟისორადაც მოგვევლინა, დაწერა ათამდე პიესა, რომელთაგან აღსანიშნავია „ხიდქვეშ", „ძმები", „ტყის მეგობარი" და სხვა.

ბატონმა გიორგიმ თავისი განვლილი ცხოვრების გზა შესანიშნავად აღწერა მოგონებათა წიგნში, რომელიც 1976 წელს გამოსცა საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ. აქ დახატულია პორტრეტი პიროვნებისა, რომელიც კეთილსინდისიერად ემსახურა მშობლიურ თეატრალურ ხელოვნებას და უღალატო კაცის სახელით წავიდა ამ ქვეყნიდან. ახლახან შესრულდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის გიორგი დარისპანაშვილის დაბადების 100 წლისთავი. მისი თაობა დიდ ხელოვნებას ქმნიდა. ამ თაობას დავიწყება არ უწერია.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

## თაობა

### მომავლის რეპეტიცია

**საქართველოს ბავშვთა ფედერაციის სააქტო დარბაზის კედლებზე არაერთხელ გაკრულა გამოფენა-გაყიდვისათვის გამოტანილი ბავშვთა ნამუშევრები. არაერთხელ შეჯამებულა თბილისის მიუსაფარი მოზარდების სარეაბილიტაციო ცენტრის „მომავლის სახლის", „სათნოების", „ბედურების", ჭიათურის „ჯეჯილის", ბორჯომის „ქუჩის ბიჭების" სახელობის აღსაზრდელთა მუშაობა. ყველაფერს კი „ინუსეფის" დახმარებით ბავშვთა ფედერაცია და ახალგაზრდობის პარლამენტი უწევს კოორდინაციას..**

მათ მუშაობაში არის სიახლეც: ბავშვთა ფედერაციისა და ახალგაზრდული პარლამენტის თაოსნობით მალე დაიწყება მაუწყებლობა „საბავშვო რადიო „FM -97-ის" (ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში ასეთი რამ პირველად საქართველოში კეთდება). აქ მოქმედ კლუბებსა და წრეებში 400-ზე მეტი მოზარდია გაერთიანებული. მის კინო-დარბაზში მალე საბავშვო საგანმანათლებლო ცენტრიც გაიხსნება და მოსწავლე ახალგაზრდობას საშუალება ექნება, ეკრანზე სკოლის საგნების შესაბამისი ადაპტირებული კინო—მასალა იხილოს. კატალოგში უკვე 600-ზე მეტი მხატვრული და სამეცნიერო პუბლიცისტური ფილმია შესული, ხოლო ახალი პროექტი „ძილისპირული", ძირითადად, სკოლამდელი და დაწყებითი სკოლის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. საქართველოს ბავშვთა ფედერაციას მთავარ საზრუნავად ახალგაზრდული პარლამენტის მუშაობა მიაჩნია, ასეთ პარლამენტში ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენელია გაერთიანებული. მისი მიზანია განსხვავებული აზრის პატივისცემა, სხვადასხვა ასაკის, ეროვნებისა და ინტერესების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის, კულტურისა და საკუთარი აზრის გამოხატვის სწორი ფორმის შემუშავება. თავისთავად, ახალგაზრდული პარლამენტი დიდი გამოცდის რეპეტიცია გახლავთ, რომელსაც მომავალში ძლიერი და რთული ცხოვრება ჰქვია.

საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული პარლამენტის ერთ-ერთ სესიაზე სამთავრობო საათების ფარგლებში მათ ესტუმრნენ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ისმაელ ულდა შეიხ ახმედი, გაეროს კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამების კოორდინატორი მაია ქურციკიძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, მთელი ჯგუფი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მინისტრის მოადგილის ბელა წიფურიას ხელმძღვანელობით.

ახალგაზრდული პარლამენტის დეპუტატები აქტიურად მოღვაწეობენ საქართველოს რეგიონებში: ზუგდიდის, სენაკის, ბორჯომის, ასპინძის, თერჯოლის, წყალტუბოს, გურჯაანის, გარდაბნის, მცხეთა—მთიანეთის, აჭარის, ხულოს ფილიალებში. ახალგაზრდული პარლამენტის სხდომებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ესწრება. ეს არის სასწავლო პროექტი. ღონისძიებები საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში იმართება. აქ ახალგაზრდები ქვეყნის მართვის წესებს ეუფლებიან, იციან, რა აკეთონ, როგორ იმუშაონ და როგორ იმოქმედონ. მოსწავლე დეპუტატებს ემსახურება ინტერნეტი, გამოსცემენ ყოველკვარტალურ ჟურნალს „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდების პარლამენტის მაცნეს".



ნათელა ფაილოძე,
**სურათზე: ბავშვთა და ახალგაზრდული პარლამენტის წევრები პარლამენტში. სრულდება საქართველოს ჰიმნი.**
ჯავარ ლომაძის ფოტო.

არმაზ სანებლიძე და ზურაბ გაბუნია ოჯახებით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობრებს ნუგზარ და ლალი ქავთარაძეებს, ლიანა, ომარ, კონსტანტინე, გიორგი, სალომე ქავთარაძეებს და მათი ოჯახის წევრებს დედის და ბებიის, ჩვენი თაობის საფიცარი უკეთილშობილესი ქალბატონის

ოლია ქავთარაძე-აქირთავას

გარდაცვალების გამო.

შვილი შოთა, რძალი რუსუდან უფლისაშვილი, შვილიშვილები აკაკი (კოკა), სოფიკო, რძალი თეონა კალაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბუზული პარმენის ასული დოლონაძე

პანაშვიდი 12, 13 VI, 17 სთ. გამოსვენება 14 VI, 15 სთ. ყიფიანის ქ. №12 (მთაწმინდაზე).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლეგანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK